# საქართველოს ქალი

645/
2004/2



2004
№1-2

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე – საქართველოს პირველი ლედი – სანდრა რულოვსი.
ვარლამ და ზურაბ გენგიურების ფოტო.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman. A Magazine for Women

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

# მისი აღმატებულება, მიხეილ სააკაშვილი,



თბილისს არ ახსოვს იანვარში გაზაფხული. ჩვენებურებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამან გააოცა უამრავი არათბილისელი, არაქართველი – სტუმრად ჩამოსული. ბუნება ზეიმობდა, დედამიწა ილხენდა... იყო დიდი საბაბი: საქართველოში მესამე პრეზიდენტი მობრძანდებოდა.

მიშა!

გელათის ტაძრიდან გამოყოლილი თანამდევი სული მას ჯერ ბათუმსა და ფოთში გაჰყვა, მერე თბილისში უთანამგზავრა, და როცა, 25 იანვარს 170 კიბის ჩამოვლისას, ნაბიჯებს ითვლიდა, გამაგრდიო, – ამხნევებდა, ამიტომ არ შერხევია ხელი, რომელიც ფიცის წარმოთქმისას გაშალა, არც ხმა გაბზარვია, არც ფერი შეცვლია. დავით აღმაშენებლის სული ახლდა თან და ინაუგურაციის ცერემონიალი წარმოუდგენლად კარგად ჩატარდა: შთამბეჭდავი სიტყვით, საქართველოს და ევროსაბჭოს დროშების აღმართვით, საზეიმო ზალპებით, პრეზიდენტის სიტყვით თუ მოქმედებით დატყვევებული მსმენელ-მაყურებლით და მზით გამთბარი ქართული ზეცით...

ინაუგურაცია დამთავრდა და ეს ყველაფერი თითქოს მახსოვრობაში დარჩა. სულაც არა. ხალხს, რომლის 97 პროცენტმა აირჩია პრეზიდენტი, მისი ყოველი დანაპირები ყოველ საათს, ყოველ წუთს ახსოვს. ხსოვნა ვერაფერი იმედია, თუ მოლოდინი გაიწელა, მოლოდინი იმისა, რომ: სილარიბე დამარცხდება, ფეხზე დადგება და გაძლიერდება ეკონომიკა, შეიქმნება თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი არმია, ფუნდამენტური რეფორმები განხორციელდება განათლების სისტემაში, აღდგება საქართველოს ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი უბრალოდ, მიშა

რიული მთლიანობა, რომ:

მთავრობა იცხოვრებს ისე, როგორც ცხოვრობს ხალხი, გაიჭირვებს, მოიჭერს ქამარს.

მიშა!

იგი თავგადადებულია და აპირებს სოფელ-სოფელ ჩამოიაროს საქართველო, შეხვდეს, ესაუბროს ხალხს, რომლისაც უნდა ეშინოდეს მთავრობას.

ზეპირად ახსოვს მსმენელს თუ გამგონეს:

„მე, საქართველოს პრეზიდენტი ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას. კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

ამ დანაპირებს რომ იძლეოდა, მას ახსოვდა წინადღეების დავოსი – შვეიცარიის მაღალმთიანი კურორტი, სადაც ყოველწლიურად იკრიბებიან მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ბიზნესპოლიტელიტის წარმომადგენლები; სადაც საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ფინანსური დახმარების პროცესს ჩაეყარა საფუძველი. მთავარზე მთავარი ეს იყო საქართველოსათვის: დავოსის ფორუმზე ამერიკის დახმარების გაორმაგება – ადრინდელი 100 მილიონი დოლარის ნაცვლად 200 მილიონი.

სოროსის ფონდმა იკისრა ფინანსურად უზრუნველეჴყოს საქართველოში მოხელეთა ხელფასების გაზრდა (სავარაუდოდ 500 დოლარის ექვივალენტი ქართულ ვალუტაში) და იმ კონტინგენტისთვისაც, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის საფასურად მიიღებს დიდ ანაზღაურებას (პოლიციელები, მებაჟეები, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები, მინისტრები, მათი მოადგილეები).



პრეზიდენტს არ უყვარს განდიდება, სხვებისგან გამორჩევა, იგი თანატოლია ბავშვის და დიდის. ამიტომ ყველანი მიშას ეძახიან, მას ეს მოსწონს, რისთვისაც ასე შეიყვარა ხალხმა.

აშშ-ის 42-ე პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა კი მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს მოუწოდა დაეხმარონ საქართველოს.

მისი აღმატებულება, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი,

უბრალოდ მიშა

გრძნობდა დავოსიდან გამოყოლილ მხარდაჭერას, მსოფლიოს ქვეყნების მხარდაჭერას, თავის მშობლიური ხალხის მხარდაჭერას.

და ინაუგურაციის მეორე დღე უკვე საქმიანი დაიწყო. ქაშუეთის ტაძარში პირჯვრის წერითა და ხელში წმიდა სანთლით პრეზიდენტი ეროვნული თანხმობის დეკლარაციაზე ხელმოსაწერად ემზადებოდა. აწი არავინ გაიხიზნება საქართველოდან იმისათვის, რომ ზვიადთან იდგა, არც არავინ გაიხდის უცხოეთს თავშესაფრად, რომ არ დაიჭირონ...

დამთავრდა.

ლია კაკაბაძე

**P.S.** ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს საქართველოს პრეზიდენტს დიდ გამარჯვებას და უსურვებს დასახული მიზნების განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# NMCP – თქვენი პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტა



იან რობენი

12-13 თებერვალს შერატონ მეტეხი პალასში ჩატარდა ნიდერლანდების სამთავრობო პროგრამის კოორდინატორების კონფერენცია, რომელშიც ჰოლანდიელ და ქართველ სპეციალისტებთან ერთად NMCP პროგრამის სომეხი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მართვისა და თანადგომის პროგრამა ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებით 25 წლის წინათ შეიქმნა და 3500 გამოცდილ, მაღალკვალიფიციურ ექსპერტს აერთიანებს, რომლებმაც ამ ხნის მანძილზე უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთება შეძლეს. პროგრამა წელიწადში დაახლოებით 1500-ზე მეტ პროექტს უკეთებს რეალიზებას. სრულიად უსასყიდლოდ, კეთილშობილური მიზნით კომპანიებსა და ფირმებს ეხმარება მარკეტინგის, მენეჯმენტის, წარმოების ორგანიზებაში, სწორ დაგეგმარებაში, საკადრო სფეროში, საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

NMCP-ის მიზანი მართლაც კეთილშობილური და მაღალზნეობრივია: ებრძოლონ და დაძლიონ სიღარიბე. მისი საქმიანობა და რესურსები სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ მსოფლიოში პრიორიტეტად იქცეს სიმდიდრის თანაბარი გადანაწილება.

პროფესიონალი ექსპერტები, რომლებსაც სამართლიანად უწოდებენ ქველმოქმედებს, ორი კვირის განმავლობაში უფასო კონსულტაციებს უტარებენ საწარმოებს, თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ. მოგეხსენებათ, კონკრეტული პროექტის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სწორ, ოპტიმალურ დაგეგმვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზე დიდია წაგების რისკი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა კონტაქტებს არ ამყარებს ე.წ. ჩრდილოვან კომპანიებთან.

საქართველოში ჰოლანდიელი ექსპერტები უკვე ექვსი წელია თანამშრომლობენ ძირითადად შემდეგ სექტორებში: ტურიზმში, ენერგეტიკაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში. ამ ხნის მანძილზე მათ 40 ფირმას გაუწიეს საკონსულტაციო დახმარება. დღემდე პროგრამის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ქნი სანდრა რულოვსი, რომელმაც პოზიტიურად შეაფასა NMCP-ის მუშაობა და იმედი გამოთქვა მისი შემდგომი საქმიანობის გაფართოებაზე.




ნიდერლანდების მართვისა და თანადგომის პროგრამა მსოფლიოს 80 ქვეყანაში ფუნქციონირებს. 25 წლის განმავლობაში პროგრამის მიერ იმდენად დიდი სამუშაოები ჩატარდა, რომ ნიდერლანდების სამეფოს გადაწყვეტილებით პროგრამის ბიუჯეტი 20 პროცენტით გაიზარდა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ახალი პროექტების განხორციელებას.

NMCP გენერალური დირექტორი იან რობენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ამ პროექტის გაშლა-განვითარებას, რადგან კავშირის დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებს მძიმე პერიოდი დაუდგათ და შეიძლება ითქვას, რომ ნულიდან მოუხდათ ეკონომიკის განვითარება, რომელიც წინათ ხელისუფლების მიერ იმართებოდა და რომელიც დღეს ნელ-ნელა, ეტაპობრივად გადადის საბაზრო ეკონომიკაზე. ნიდერლანდების მართვისა და თანადგომის პროგრამა საქართველოს გარდა ხორციელდება რუსეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, სასომხეთში, თურქმენეთში, მოლდავეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, სადაც დიდი სამუშაოები ტარდება მრეწველობის ოპტიმიზაციისათვის, ხარისხის ასამაღლებლად, მარკეტინგის გასაძლიერებლად, კრედიტების მოსაზიდად.

– ჩვენ საქმიან კონტაქტებს ვამყარებთ მიზანმიმართულ, ენერგიულ ადამიანებთან, – ამბობს ბ-ნი იან რობენი, რომლებიც დარწმუნებულები არიან თავიანთ შესაძლებლობებში და რომლებსაც სურთ თავიანთი კომპანიების შემდგომი ზრდა-განვითარება.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კერძო ბიზნესს დიდი მომავალი აქვს და სადაც კი შესაძლებელია, უნდა მოხდეს მისი განვითარება. თუმცა როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, კერძო წარმოების განვითარება არც თუ ისე ადვილი საქმეა და მხოლოდ პროფესიონალების ხელშეწყობით თუ მოხერხდება.

როგორც პროგრამის კოორდინატორი ამბობს, საჭიროა ერთგვარად შეჯამდეს და შეფასება მიეცეს პროგრამის საქმიანობას და ამავე დროს დაისახოს ახალი გეგმები სამომავლოდ.

– ვისაც ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროება, აქტიურად ვითანამშრომლებთ მათთან, თუმცა აუცილებელია შემდგომში ჩვენი მითითებებისა და გამოცდილების გამოყენება, – ამბობს ბნი იან რობენი.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული კერძო სექტორზე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრება კი, შეიძლება ითქვას, დღეს ჩიხშია მომწყვდეული და სერიოზულ დახმარებას საჭიროებს.

NMCP დახმარების ხელს უწვდის ყველას, ვისაც ეს ნამდვილად ესაჭიროება.

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურასთან კარგ თვისებებს ვიძენ...



● ზურაბ ჟვანია და ნინო ქადაგიძე-ჟვანია

ნინო ქადაგიძე-ჟვანია პრემიერ-მინისტრის მეუღლე, უშუალო, ზომიერად გულახდილი, საინტერესო მოსაუბრეა. ოჯახზე, სიკეთეზე, პოლიტიკოსის მეუღლის როლზე, დინჯად, აუჩქარებლად საუბრობს, თან, როგორც ალალი ადამიანის ბუნებას სჩვევია, დროდადრო მომხიბლავი ღიმილი ევინება. არაფერი იმალება ამქვეყნად — ნინო ჟვანიას თვალები მისი სულის სარკეა! ჩანს, რა ადამიანიცაა. არჩევანში არ შემცდარხართ, გაგიმართლებიათ, ბატონო ზურაბ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, კაცის ჭკუა იმაშიც ჩანს, ცოლის გამწევად ვის ირჩევსო.

**ქ-ნო ნინო, ჩვენი ჟურნალის პროფილი ოჯახი და ქალია, ამიტომაც ამ თემებზე ვისაუბრებთ და შიგადაშიგ პოლიტიკაც გავურიოთ. ანუ: ოჯახი, ქველმოქმედება და პოლიტიკოსის მეუღლეობა...**

— ათი წელია ზურას მეუღლე ვარ და ერთი დღეც არ მქონია მშვიდი. ჩვენი ქორწინება მხედრიონის მშფოთვარე პერიოდს დაემთხვა. მოქალაქეთა კავშირიც მაშინ შეიქმნა, გენერალურ მდივნად ზურა დაინიშნა. ვცდილობდი პოლიტიკიდან შორს ვყოფილიყავი, მაგრამ არ გამოდის, პოლიტიკოსის ცოლობა უზარმაზარი სტრესი და დიდი ტვირთია. თუმცა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შვილებია. ვცდილობ პოლიტიკაში არ ჩავერიო, ვიყო ფრთხილი და ობიექტური, ჩემი აზრი არ მოვახვიო სხვას. რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკულ სიტუაციაში, როგორც ყველა, ნებისმიერმა ნორმალურმა ადამიანმა ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია არ გამოვხატო.

**— რამდენიმე წლის წინ, 1997 წელს, ჩვენს მკითხველს გავაცანით თქვენი ოჯახი, მაშინ ბატონი ზურაბი პარლამენტის თავმჯდომარე იყო. მას შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?**

— ბევრი რამ. მაშინ ორი შვილი გვყავდა. ელისაბედი (ლიზა) 10 წლისაა, ბესარიონი (მამამთილის მოსახელე — მოფერებით ბუსა) 7 წლის, ანა — ოთხის. მძიმე პერიოდი გავიარეთ, ხელისუფლების რეგრესია, კადრების ცვლა, ახლა უფრო ვაცნობიერებ, რა დიდი სიმძიმე გადავიტანეთ, მერე ზურა გადადგა თანამდებობიდან... პოლიტიკოსის ოჯახის ცხოვრება არცერთი ოჯახის ცხოვრებას არ ჰგავს. ზურა ასეთი მშვიდი არასოდეს ყოფილა როგორც ახლაა.

**— სიყვარული, ურთიერთგაგება ქართული ტრადიციული ოჯახის საყრდენია, შორიდანაც შესამჩნევია თქვენი ოჯახის თანმდევი ეს თვისებები.**

— ასე რომ არ იყოს, ვერ გავუძლებდი, რადგან თუ არ გიყვარს და არ გწამს შენი იდეალების, ვერც მის სამსახურს შეიძლებ. ახალს არაფერს ვამბობ, ჩემი კი არა, კაცობრიობის საიდუმლოა ამაში ჩადებული — იცხოვრო და ოჯახი შექმნა სიყვარულით... 27 წლის ვიყავი, ზურას მეუღლე რომ გავხდი, ეს ის ასაკია, რასაც ელოდები და პოულობ, ამ დროს სრულიად მზად ხარ უღელში შეება, ეს ასაკია, როცა შეგიძლია ოჯახის შენარჩუნებაც და გაფრთხილებაც. ოჯახის მნიშვნელოვანი ფაქტორი ბავშვები არიან, როცა ისინი ჩნდებიან, ყველაფერი მათ ინტერესებს უნდა დაუმორჩილო, პირადული გვერდზე გადასდო. არ არსებობს ბავშვისთვის უფრო ფასეული — ვიდრე ოჯახში მისი აღზრდაა. სხვათა შორის, გაუმართლებლად მიმაჩნია ადრეულ ასაკში ქორწინება.

**— მკითხველს ყველაფერი აინტერესებს პოლიტიკური ლიდერების შესახებ, როგორი შვილი, მეუღლე და მამაა ბატონი ზურაბი?**

— მწვანეთა პარტიაში ერთობლივი მუშაობისას დავახლოვდით და გადავწყვიტეთ ოჯახის შექმნა. დედამთილს (სამი თაობა ერთად ვცხოვრობთ ზურას ძველ ბინაში), მე და ბავშვებს გვიწევს შეგუება, რომ ვიდრე ქვეყანა დალაგდება, ნაკლებად სცალია ჩვენთვის. იგი ზედმიწევნით ადამიანური და გაწონასწორებული პიროვნებაა ყოველგვარ კრიტიკულ სიტუაციაში, არ გტოვებს, შენს გვერდითაა. პრინციპულად წინააღმდეგია ოჯახის წევრების განებივრების, ასევეა ჩემს მიმართაც. მის გვერდით მობილიზებულიც ვარ და მიზანმიმართულიც. ორგანიზატორული ნიჭითაა .დაჯილდოებული, რაც მეც გა-

დმომეცემა ხოლმე. არასოდეს გაძლევს მოდუნების საშუალებას, მაშინაც კი, როცა ბაღში მუშაობს (პატარა აგარაკი გვაქვს დიღომთან ახლოს, ჯიქურებში) ან ქალაქგარეთ მივყავართ ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, რაც დიდი ფუფუნებაა ჩვენთვის. თუ დრო გამონახა, მიუჯდება მანქანის საჭეს, უყვარს ასეთი სიურპრიზების გაკეთება. იმდენად კარგი პიროვნული თვისებები გააჩნია, შენც გადაგედება. ქვეყანაში მიმდინარე დღევანდელი პროცესები, მჯერა უთუოდ გამოიღებს სასურველ ნაყოფს. უკვე შესამჩნევია, რომ საქართველო, მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხით, მართლაც გამორჩეული ქვეყანაა.

**– როგორი ოჯახი გაქვთ, ხშირი სტუმრიანობით გამოირჩევით თუ კარჩაკეტილობით, როგორც პოლიტიკოსთა უმეტესობა. თუ მწერალ დათო ტურაშვილის ჩვეულ, ფრთიან სიტყვებს დავუჯერებთ, პრემიერ-მინისტრი გურმანიც უნდა იყოს?**

– სტუმართმოყვარეობა ზურას თვისებაა. უამრავი მეგობარი, ნაცნობი, თანამოაზრე ჰყავს, გვიანობამდე ვერ ვხედავ, მოდის და მაშინაც ორ-სამ მეგობარს მოიყოლებს ხოლმე. მიყვარს ქართული სუფრა, სიმღერა, სამზარეულოში ტრიალი, – რაღაცას ვიგონებ, ახალ-ახალ რეცეპტებს ვთხზავ, ზურა მხოლოდ დილით საუზმობს სახლში, განსაკუთრებულ დღეებში, მაგალითად, ახალ წელს, საგულდაგულოდ დაჭრილი ნიგოზით გოზინაყს გვიკეთებს. საკუთარი საფირმო კერძებიც იცის, ოღონდ, იშვიათად ამზადებს, რადგან დრო ნამდვილად არა აქვს. ბუნებით ზედმიწევნით მგრძნობიარე ვარ. უმნიშვნელო კონფლიქტი ისეთი დამანგრეველია ჩემთვის, ასე მგონია, ფეხქვეშ მიწა მეცლება.

**– ქ-ნო ნინო, ცნობილია, რომ თქვენ ქველმოქმედებასაც ეწევით, ახლა უფრო გააქტიურდით თუ ადრეც ასეთი იყავით?**

– რვა წელია ქველმოქმედებას ვეწევი. პოლიტიკოსის მეუღლე საზოგადოებისათვის კარგი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ეს „პროტოკოლითაცაა" გათვალისწინებული. თუ მოწოდებითაც ხარ ასეთი, მით უკეთესი. ოთხი-ხუთი თვეა „წიგნის სახლი" გავხსენი, ავისრულე დიდი ხნის ოცნება, სადაც ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კაფე, ეწყობა ლიტერატურული საღამოები. რთულ პერიოდში დავიწყე ამაზე ფიქრი, ზურა უკვე ხელისუფლების ოპოზიციაში იყო, ყოველი კაპიკი ჩემი შრომით ვიშოვე, შვილებს დავაკელი; ბაბუაჩემი წიგნის დიდი მოყვარული, ცნობილი ბიბლიოფილი, ბუკინისტების ხშირი სტუმარი გახლდათ, წიგნების უნიკალური კოლექცია დაგვიტოვა, წიგნიერი ოჯახი გვქონდა, კითხვის სიყვარული ოჯახიდან მომდგამს. როცა ამაზე ფიქრი დავიწყე, თბილისში არ იყო ნორმალური წიგნის მაღაზია, დიდი შრომა ჩაიდო ამ საქმეში, შემოსავალი უმნიშვნელოა, რაც შემოდის, ახალ-ახალ იდეებს ხმარდება, აზრი, რომ წიგნს აღარ კითხულობენო, შემეცვალა, ჩვენთან წიგნი თაროზე არ ჩერდება. კავშირი გვაქვს გამომცემლობებთან, ავტორებთან, საინტერესო ადამიანებთან. ადრე ჩუმჩუმად ვეწეოდი ქველმოქმედებას, როცა ლტოლვილებთან ჩავდიოდი რაიონებში, ტელევიზიით გამოჩენასაც ვერიდებოდი, არ მინდოდა ზედმეტად ვინმეს თვალში შევჩხეროდი და გამეღიზიანებინა. სხვა სამსახურიც მაქვს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰორიზონტის" კონსულტანტი გახლავართ და „პირველი ნაბიჯის" თანადამფუძნებელი. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ უნარშეზღუდული ბავშვებისათვის აშენდეს ცენტრი, უკვე მზადაა შენობა, სადაც თორმეტი ბავშვი ცხოვრობს; რა თქმა უნდა, ეს ცოტაა.



● მამა სამსახურიდან დაბრუნდა



● ქალაქგარეთ



● დილის გამამხნევებელი ვარჯიში დედიკოსთან ერთად

შენდება ერთი საცხოვრებელი და ერთი სარეაბილიტაციო „დღის ცენტრი“. ვმუშაობ სახელმწიფო პროექტზე უნარშეზღუდული ბავშვებისათვის.

...ამერიკის ემორის უნივერსიტეტის პროფესორი უნარშეზღუდული ბავშვებისათვის სამოდელო პროექტს ეცნობოდა, აღფრთოვანება ვერ დამალა, ასეთი ცენტრი, როგორიც თქვენ გაქვთ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც არ მინახავსო. სანფრანცისკოელმა პროფესორმა მკითხა, საიდან გაქვთ ასეთი გულისხმიერება, რამდენს ზრუნავთ ბავშვებზეო. ჩვენთან თავიდათავი ოჯახია და ამიტომ ხდება ასე.

**– ქართველი და არა მარტო ქართველი ხალხი იმედის თვალით შეჰყურებს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებს. ისინი განსწავლული, მამულიშვილური ღირსებებით შემკული პიროვნებები არიან, რომელთაც საქართველოს ხვალინდელი დღის, მისი მომავლის ბედი აკისრიათ. რა განცდა გქონდათ რევოლუციის იმ მძიმე დღეებში?**

– ვერ მოგატყუებთ, რევოლუციის აქტიური მონაწილე გახლდით, რადგან თითოეული ჩვენთაგანის პასიურობა ღალატის ტოლფასად მეჩვენებოდა. იყო ღელვა, შიშიც, არავინ იცოდა, მოვლენები როგორ განვითარდებოდა, მაგრამ ლიდერებმა, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი ისე გათვალეს, რომ მათი ყოველი ნაბიჯი ქვეყნისთვის მომგებიანი ყოფილიყო. საზოგადოებაც შემზადებული დახვდა განვითარებულ მოვლენებს. დრო გაიწელა, თორემ ლიდერები ორი-სამი წელი ემზადებოდნენ ამისათვის, როცა ჰოპ დაიძახეს, ხალხი უკვე გადამხტარი იყო. იქ იყო სრულიად საქართველო, ერი და ბერი, ტელევიზიამაც დიდი როლი ითამაშა მართლაც სანიმუშო რევოლუციის გამარჯვებაში. მაგონდება დაუვიწყარი, 23 ნოემბრის მშვიდი ალიონი და ნათია ლაზაშვილის სიტყვები – დღეს საქართველოში სხვანაირად თენდება, მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, თუმცა მთავარი განსაცდელი, კულმინაცია წინ იყო... საქართველოს წინსვლაში ეჭვი არ მეპარება. როცა ასეთი მონდომებაა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ წავალთ წინ, მთავარია, რწმენა არ დავკარგოთ. შეიძლება მთავრობაც შეიცვალოს, მაგრამ არჩეულ სწორ კურსს უნდა გავყვეთ. იგრძნობა დრომოჭმული ბარიერების ნგრევა, საბოლოოდ ქრება კომუნისტური მენტალიტეტი. რაც ყველაზე მეტად მხიბლავს ახალი პრეზიდენტის ხასიათში, ესაა სწრაფვა თავისუფალი ატმოსფეროს შექმნისაკენ. იგი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანია.

**– მოუცლელობის მიუხედავად, იქნებ, ბატონი ზურაბი დაინტერესდეს ჩვენი ჟურნალის ამ ნომრით, ამიტომაც ეს კითხვა მინდა მივაგებო: რას ფიქრობენ ბატონი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ახალგაზრდების დასაქმებაზე?**

– შეიქმნა საინფორმაციო ბანკი, რომელსაც კურირებს საზოგადოებრივ მოხელეთა ინსტიტუტი „ჯიპა“. იგი ამზადებს სახელმწიფო მოხელეებს. ამ ბანკში გროვდება დასაქმების მსურველთა შესახებ ინფორმაცია.

**– რევოლუციის ცხარე დღეებში გახმიანდა აზრი პოლიტიკოსების ურთიერთღალატსა და მათ შორის არსებულ ვითომ განხეთქილებაზე. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

– ალბათ გახსოვთ ზურას პასუხი ამ მოსაზრებაზე: ჩვენს შორის განხეთქილება სამშობლოს ღალატის ტოლფასი იქნებაო, და თითქოს ხალხი ამას ელოდა, შვებით ამოისუნთქა. როცა პოლიტიკოსი ხარ, მარტივი ჭეშმარიტებაა – შენს ხალხთან იდგე. თუმცაღა ამბიცია ამა თუ იმ პიროვნებას თვალს უბნელებს და შესაბამისად უჭირს გააზრებული ნაბიჯის გადადგმა. მაშინ ზურამ პოლიტიკოსის შეუცდომელი ალღოთი ზუსტად გათვალა, რომ ეს პროცესი გარდაუვალი იქნებოდა. ზურაც ამბიციური ადამიანია, ოღონდ კარგი გაგებით, ქვეყანას სწორედაც სჭირდება ასეთი ადამიანები.

**– ქ-ნო ნინო, თქვენ ერთხელ ბანკეტზე, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა მოგვხიბლეთ ცეკვით და სიმღერით, ბატონი ზურაბიც მღერის, ბავშვები რის მიმართ იჩენენ ინტერესს?**

– ზურა სიმღერაში ძალიან უნიჭოა, შედარებით ლიზაა მუსიკალური. მამაჩემი მღერის შესანიშნავად, იმას დავემსგავსე. ბავშვები ჩვეულებრივ გერმანულ სკოლაში სწავლობენ, არ ვემდური, საკმაოდ ნიჭიერები არიან. საახალწლოდ მე და ლიზამ ტელეგადაცემაში ვიმღერეთ. იმ ერთმა სიმღერამ საზოგადოების ცენტრში მომაქცია. ბაზარში, მაღაზიაში მცნობენ, მიღიმიან, რაღაცას მჩუქნიან, ზურასთან მოკითხვას მაბარებენ.

**– კომუნისტებს ერთი უხეირო რამ ჰქონდათ, დაკანონებული იყო პოლიტიკოსის მეუღლის ჩრდილში ყოფნა.**

– მიუღებლად მიმაჩნია. პოლიტიკოსის მეუღლე საზოგადოების მნიშვნელოვანი ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს, ქველმოქმედი, აფრქვევდეს სიყვარულს, რამეთუ სიყვარული ღვთიური კურთხევაა, უფლისგან მონიჭებული, ჭეშმარიტ მორწმუნეთა ხვედრი, ნებისმიერი საქმე სიყვარულით უნდა კეთდებოდეს და არა იძულებით.

**– თქვენი დამოკიდებულება ჟურნალისტებისადმი, როცა საქმე პოპულარულ პოლიტიკოსის მეუღლეს ეხება, ჟურნალისტები მეტად ინტერესდებიან?**

– ჟურნალისტებს საპატიო მისია აკისრიათ, მოეთხოვებათ პროფესიონალიზმი, მათი საქმიანობა საპატიოცაა და საპასუხისმგებლოც. განსაკუთრებული პატივისცემა მაქვს თქვენი ასაკის ჟურნალისტებისადმი, ფრთხილები, გაწონასწორებულები არიან, იაფფასიანი, მყვირალა ფაქტებისადმი თავშეკავებულები, ზოგიერთმა ახალბედა ჟურნალისტმა თუ მაინტრიგებელი ფრაზა წამოგაცდევინა, სათაურში გამოიტანს, რესპონდენტისათვის ზოგჯერ ასეთი რამ შეურაცხმყოფელი გამხდარა.

**– რას გვეტყვით სანდრა რულოვსზე?**

– მთელი კომფორტია მასთან ურთიერთობა, ძველი მეგობრები ვართ, როცა მიშამ ჩამოიყვანა, ქართული ხეირიანად არ იცოდა. მაშინ დავახლოვდით, წყნეთში ვცხოვრობდით, ხშირად ერთად ვიყავით, მის სამშობლოში, ჰოლანდიაშიც ვარ მის მშობლებთან ნამყოფი, უკომპლექსო, უკონფლიქტო ადამიანია, ლინგვისტი – როცა სხვა ხალხის ენას ასე სწრაფად სწავლობ, დიდი პატივისცემაა, რაც სანდრამ შესძლო. იგი ქველმოქმედებასაც ეწევა. მათი ვაჟი ედუარდი ჩემი ნათლულია. მათ დიდი ტვირთი იკისრეს. მე მჯერა მათი.

* * *

*ქ-ნი ნინო, სპეციალობით ფსიქოლოგი, ქველმოქმედი, სამი შვილის დედა ქართველ ხალხს უსურვებს ეს წელი მშვიდი ყოფილიყოს, ჰქონოდეს შრომისა და დასვენების საშუალება. ხალხმა ბევრი რამ ისწავლა ამ ათი წლის მანძილზე, შეძლო თავის გადარჩენა, იმდენი რამ ნახა და განიცადა, შეცდომის დაშვებას არავის აპატიებს.*

ნანული ბუკია

# ქალი – ლეგენდა



„გიული ჩოხელი – ქალი ლეგენდა“ ასე უწოდეს აშშ-ში. მას ყოველთვის განსაკუთრებული სიამოვნებით და სიყვარულით უსმენდა მუსიკალური ელიტა. ქალბატონმა გიულიმ ყოფილ საბჭოთა კავშირში საფუძველი ჩაუყარა ჯაზ-მუსიკას და გახლდათ პირველი ქალი, რომელმაც „რევოლუცია“ მოახდინა ეგრეთწოდებულ კომერციულ მუსიკალურ სამყაროში.

ძლიერი, მებრძოლი, ამაყი, შეუპოვარი გიული ჩოხელი მუსკომედიის თეატრის წამყვანი მსახიობის, სიცილის ოსტატის, საქართველოს სახალხო არტისტის ელენე ჩოხელის ქალიშვილია, რომლისგანაც მემკვიდრეობით მუსიკის სიყვარული ერგო. ბედმა ნიჭით უხვად დააჯილდოვა დიდი ჯაზმენი. მან 60-იან წლებში საბჭოთა ესტრადა თავდაყირა დააყენა და თავისი თამამი, დახვეწილი სტილით თანამედროვე მუსიკალური სამყარო შეცვალა. საქართველოს ფილარმონიის სოლისტი მოსკონცერტის მიწვევით თითქმის 40 წლიწადი გასტროლებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდა. სოპოტის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის პრიზიორი, როგორც პოლონეთის პრესა გვაუწყებს, ევროპის საუკეთესო მომღერალთა ხუთეულში შედიოდა. მოსკოვის, ტალინისა და პრაღის ფესტივალების გამარჯვებულს წარმატება და დიდება არ მოჰკლებია.

თუმცა იყო დავიწყების ხანაც, რომელსაც კვლავ გახსენება და აღიარება მოჰყვა. 2000 წელს გიული ჩოხელი კარნეგი ჰოლში საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის საპატიო სტუმრად მიიწვიეს. ამჟამად ჯაზის ისტორიის ამსახველ ხელნაწერებზე მუშაობს, გატაცებულია ფერწერით, რეჟისურით, რუსულენოვან ჟურნალ „დიდ ვაშინგტონში“ თანამშრომლობით.

ქალბატონი გიული ჯაზით ცხოვრობს, ის მისი „სულის გაზაფხულია“, სტკივა საქართველოსა და თბილისის ტკივილი და ცდილობს, ყოფიერებასთან ჭიდილში იცხოვროს ისე, რომ ხელოვნების მარადიულობა მუდამ მისი ცხოვრების ლაიტმოტივად დარჩეს.

გიული ჩოხელთან შეხვედრის სურვილი ბავშვობიდან მქონდა. ამჟამად ეს შესაძლებლობა მომეცა და ჩვენი საუბარიც შედგა.

**-ქალბატონო გიული, თბილისი თქვენი წარსული, აწმყო და მომავალია. მე ვიტყოდი, ის თქვენი ბედისწერაა. რა არის თქვენთვის, როგორც შემოქმედისთვის თბილისი? როგორი გახსოვთ და როგორია ამჟამად? არის კი თბილისი ის მუზების პარნასი, როგორადაც იხსენებენ თქვენი თაობის წარმომადგენლები?**

– ყოველთვის და ყველგან მახსოვს ჩემი საყვარელი ქალაქი თბილისი, სადაც დავიბადე და პიროვნებად ჩამოვყალიბდი. თბილისი დიდი გარემო, სითბო და ადამიანების ურთიერთგაგებაა და არა ის, ჩემს ეზოში (დიდუბეში, წერეთლის გამზირზე) დილიდან დაღამებამდე უხამსი სიტყვები და საქმეების გარჩევა რომ ისმის. მთელი დღე ფანჯარას ვერ ვაღებ იმიტომ, რომ საშინელი ხმაურია. ასეთ ვითარებაში შემოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ გავიხიზნე მთაში და იქ ვცხოვრობ. მე ვფიქრობ, შემოქმედი გათიშული უნდა იყოს გარე სამყაროსაგან. ასეთ ვითარებაში გავიზარდე და დავბერდი. ეს რა მოუვიდათ ადამიანებს, რა შვილებს ზრდიან! აივანზე გამოსულს ხშირად მესმის უწმაწური სიტყვები, რომლითაც შვილები საკუთარ დედას მიმართავენ.

**– ანუ, ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ფასეულობათა გადაფასება. ქცევის ცუდ მანერებს დასავლური ცხოვრების სტილს უწოდებენ. არა და, იმ ღირებულებებს, რომლებიც გაგვაჩნია, ნელ-ნელა ვკარგავთ, ევროპელები კი მას უბრუნდებიან.**

– გეთანხმებით, თავი გვაქვს მოსაკლავი. ჯაზი? რომელი ჯაზი? საერთოდ ვერ ვგრძნობ ვარსკვლავად თავს. იცით რა დამემართა? ფარდა ჩამოეფარა ჩემს ცნობიერებას, ფარდის იქით დარჩა ის ცხოვრება, რომელიც მგონია, რომ არასოდეს მქონია, იმიტომ, რომ ჩემი თბილისი გაქრა და აღმოვჩნდი გაურკვევლობაში, სადმე რომ მივდივარ თვალებს ვერ ვწევ ზევით, ვერაფერს ვუყურებ. ვერც ჩვენს ქუჩებს, ვერც ეზოებს, ვერც ჩაცმულობას. როგორ ვიცვამთ, ან როგორ ვსაუბრობთ და საერთოდ რა ხდება?

**– იქნებ, ადამიანთა სულიერებისაგან დაცლა სოციალური პრობლემების ბრალია?**

– არა, მაპატიეთ, აი უკვე ცამეტი წელია თქვენთან ერთად ვარ. ამ ცამეტ წელიწადში გადავიღე თორმეტი დოკუმენტური ფილმი. მე ხომ არ დავიცალე სულიერად? უბრალოდ აღარ ვმღერი. გამოცდილებაც მაქვს და არც ხმას ვუჩივი, მაგრამ არა მაქვს ის დღესასწაული სულისა, რომელიც უნდა ჰქონდეს ჯაზმენს.

**– თუ აპირებთ სცენაზე კვლავ ტრიუმფით დაბრუნებას?**

– რატომ, ფულის გულისთვის? არასოდეს! სიმღერა არ იყიდება. თუ ძალიან გიჭირს, შეგიძლია ფიზიკური შრომით ირჩინო თავი.

**– როგორ შემოვიდა ჯაზი თქვენს ცნობიერებაში და რა მეტამორფოზები განიცადა თქვენმა შინაგანმა „მემ“ მისი შესისხლხორცებისას?**

– ჩემთვის ამერიკული მუსიკა დოპინგივით იყო. არა და, არ მქონდა ფირფიტები, ტელე-რადიო გადაცემები. შემთხვევით ვისმენდი ჯაზს, რომელსაც შემდეგ ავიტაცებდი და მიდიოდა ამ მუსიკის „ხარშვა“ მთელს ორგანიზმში, ტვინსა და სისხლში, ხოლო, როდესაც ქართულად ვმღეროდი, გამოდიოდა რითმული მელოდია, მაგრამ მე ტექსტი არ დამიმახინჯებია.

**– ალბათ ძნელია მსმენელის გემოვნების დაკმაყოფილება და კიდევ უფრო ძნელი მისი სულიერი სამყაროს დაპყრობა. რამდენად აზერხებენ ჩვენი შემსრულებლები დღეს ამას?**

– მე არ მაკმაყოფილებენ ჩვენი შემსრულებლები. გუშინწინ ტელევი-

ზიით გადმოსცეს ნათ კინგ ჰოლის ტელეკონცერტი. ის მოძველებული კი არ არის, უბრალოდ ჩვენები ვერ ამაღლდნენ მისი ბგერის ძალის სიმაღლემდე. ისე უნდა იმღერო, რომ ადამიანი შეძრა. გაახსენო მთელი თავისი ცხოვრება, სიხარული თუ მწუხარება. ამას იძლევა ნათ კინგ ჰოლი. ერთი სიმღერა იმღერა და გავოგნდი. საოცარი იყო. მაგრამ რა ხდება დღეს ჩვენს ესტრადაზე? სიმღერის ტექსტს მოსმენისას ვერ ვიჭერ, იაპონური მგონია, სულ სხვა აქცენტები აქვთ გაკეთებული. ყველა არანჟირება, თუ რამე ვიცი, მოპარულია და მასზე ქართული სიმღერის ტექსტია დადებული.

**– ადვილი არ იყო, დაგემკვიდრებინათ ადგილი საბჭოთა ესტრადაზე, მაგრამ, თქვენ ეს შეძელით, დანერგეთ სრულიად ახალი, თავისუფალი შესრულების მანერა. ალბათ, ძნელი იყო საესტრადო ტრადიციების დარღვევა. როგორ? რა ძალისხმევით მოახერხეთ გამხდარიყავით საბჭოთა ესტრადის რეფორმატორი?**

– ეს ახლა გავიგე, რომ თურმე რეფორმაცია მომიხდენია. უბრალოდ, ორგანულად ვერწყმოდი მუსიკას. ეს იყო და ეს. მხატვარს რომ ნახატი მოუწონო და მოინდომო მასავით ხატვა, ვერ შეძლებ, რადგან ისე ვერ დახატავ, როგორც თავად ავტორი. ყველაფერს სჭირდება სწავლა. არ შეიძლება კოპირება და ჭუჭყი მუსიკაში, რომელიც ჩვენს ესტრადაზე შემოვიდა.

**– ასეთი მუსიკა მთელ მსოფლიოში დომინირებს?**

– დიახ, ყველგან და ყველა მიმართულებაშია, გინდ როკი აიღეთ და გინდ ჯაზი. აი, თუნდაც რეპი! განა შეიძლება ქართული რეპი?

**– სოული?**

– სოული კიდევ შეიძლება. ჰარმონიულად ქართული მუსიკა ახლოს არის ჯაზთან. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რადგან კონსტრუქცია აქვს მაინც თავისებური.

**– მგონია, რომ შონსო უფრო ახლოს დგას ქართულ მუსიკასთან.**

– ნამდვილ ხალხურ მუსიკაში, მაგალითად, კრიმანჭულში დევს სვინგი. ხომ ვითომ სასაცილო და მოულოდნელია, მაგრამ მასში ნამდვილად არის ჯაზის ელემენტი. ეს არცერთი კულტურიდან არ შემოსულა. სადაც ნამდვილი ხელოვნებაა, იქ ურთიერთშერწყმაც ხდება, რაც დაახლოებით მეცხრე წერტილში გადაიკვეთება. ბავშვობიდან ვამბობდი, რომ ცაში არის წერტილი, რომელსაც მხოლოდ უდიდესი და ჭეშმარიტი სწვდება, ფერწერა იქნება ეს, ლიტერატურა თუ მუსიკა.

**– ფიქრობთ თუ არა, რომ მომღერალი მხოლოდ ხმაურიან ქალაქებში, მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგეს, თუ მას მართლა სიმაღლეთა დაპყრობა დაუსახავს მიზნად?**

– მომღერალმა ყველგან უნდა იმღეროს. ისე გამოდის, რომ დიდ ქალაქებში შეიძლება სიმღერა და სხვაგან კი არა. მაშ რა ვარსკვლავი ხარ, მაგალითად, მარტო თბილისში მღერი და სხვაგან არა?

**– ამერიკაში ცელოფნებით დაგიწყიათ ხატვა. რამ მოგაფიქრათ?**

– თავისუფალ დროს ფერადი პარკებისაგან აპლიკაციებს ვაკეთებ და ტილოზე ემულსიით ვამაგრებ.

**– ჩემზე კი ზეთოვანი ნახატის შთაბეჭდილება დატოვა. გამოფენაზე თუ გქონიათ ნამუშევრები გატანილი?**

– ორი გამოფენა მოვაწყვე, ერთი ამერიკაში, ერთი საქართველოში – მოქანდაკე ლამარა ქველიძის სახელოსნოში. სამწუხაროდ ამერიკაში ერთი ნამუშევარი პირდაპირ გამოფენიდან მომპარეს.

**– იცით, გამიკვირდა, როდესაც პირველი არხით ვნახე თქვენს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი, მიძღვნილი დირიჟორ ევგენი მიქელაძისადმი.**

– დიახ, ბევრი დოკუმენტური ფილმი გადავიღე სხვადასხვა ქვეყანაში.

მინდა ერთი ფილმის სიუჟეტი გიამბოთ, რომელიც დაკარგული იბერიის ღვთისმშობლის კარის ხატთან და ხოსე მუნიეს კორტესთან, ესპანური წარმოშობის ამერიკელ მართმადიდებელ ბერთან არის დაკავშირებული, რომელიც წმინდანად შერაცხეს. მან ბერძენ მამათა ლოცვა-კურთხევით ამერიკაში იბერიის ღვთისმშობლის ხატი წაასვენა, იქაურ ურწმუნოთა მოსაქცევად. ხოსე მუნიეს კორტესი, როგორც ყოველთვის, აპირებდა ახალ ათონში ეკლესიების სალოცავად წასვლას, ამის შესახებ ინტერნეტითაც იყო გამოცხადებული. როდესაც ხოსეს ინტერნეტის ამბავი შეატყობინეს, მისი ბოლო სიტყვა იყო „დავიღუპე". გამგზავრების წინ ხოსე კორტესმა თავის მოძღვარს უთხრა: „თუ მრევლი იკითხავს ხატის ადგილ-სამყოფელს, უპასუხე, რომ საიმედოდ არის დაცული". საბერძნეთში ჩასული ხოსე კორტესი ჩვეულ სასტუმროს აპარტამენტში გაჩერდა. ღამით გაისმა ზარი შემდეგი სიტყვებით! „ხოსე მიშველეო!" იგი სხვა ქვეყანაშიც რომ ყოფილიყო, თვითმფრინავით გაფრინდებოდა დასახმარებლად. ხოსე მაშინვე წამოდგა და მეზობელ სასტუმროში წავიდა დასახმარებლად. ხოსე კორტესის აპარტამენტი უკანასკნელ სართულზე, დერეფნის ბოლოს იყო. სახურავიდან ჩამოვიდა მძარცველი, რომელსაც იბერიის ღვთისმშობლის კარის ხატის გატაცება სურდა. შინ მობრუნებული ხოსე მან საშინელი წამებით მოკლა. ანუ მან თავისი მკვლელი ნახა. დილით, დამლაგებელმა ქალმა აპარტამენტის კარი ვერ გააღო, რადგან შიგნიდან იყო ჩაკეტილი. მკვლელმა ხატი მაინც ვერ ჩაიგდო ხელში. სასამართლოზე ეჭვმიტანილს, წარმოშობით რუმინელ ახალგაზრდას, სამხილის უქონლობის გამო, დანაშაული არ დაუმტკიცდა. ხოსე იოსებ მუნიეს კორტესი დაკრძალულია შტატ ჯორდან-ვილში, ამერიკაში. მის დაკრძალვაზე მთელი მსოფლიოდან იყო ჩასული ხალხი. ეს ფილმიც ჯორდან-ვილშია გადაღებული, სულ სამი სერია გამოვიდა. გადაღების პროცესში მე და ჩემმა შემოქმედებითმა ჯგუფმა საქართველოს საპატრიარქოს შემწეობითა და უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერი შემოვიარეთ. იბერიის ღვთისმშობლის კარის ხატი დღემდე გადამალულია. ჩვენ მხოლოდ მისი რეპროდუქცია გვაქვს, რომელიც ამერიკიდან ნიუ-იორკის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელმა მიშა ფოფხაძემ ჩამოიტანა. იგი სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული.

გიული ჩოხელის კარიერა სულხან ცინცაძის სიმღერით დაიწყო. მას მოჰყვა ჯაზი, დოკუმენტური ფილმი, რეჟისორ-ოპერატორობა, ხატვა, ჟურნალისტიკა და როგორც კომპოზიტორმა ანდრეი პეტროვმა ერთ-ერთ თავის რეცენზიაში აღნიშნა: „გიული ვულკანია, რომლისგანაც ყველაფერი შესაძლებელია".

დიდი ჯაზ-შემსრულებლის გიული ჩოხელის თვალებში ისევ ის ძველი ცეცხლი ანთია და კვლავ ახალგაზრდული შემართებით ერკინება ცხოვრებას.

**ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ისურვებდა ქალბატონი გიული ცხოვრებაში, ასე მიპასუხა:**

– ვისურვებდი საქართველოს გაერთიანებასა და გაბრწყინებას და იბერიის ღვთისმშობლის კარის ხატის სამშობლოში ჩამობრძანებას. მე მჯერა, რომ საქართველოში მოვიდა ეროვნული ძალა, რომელიც ჩვენს სამშობლოს ნამდვილად გააძლიერებს. ამას დიდი ხანი ველოდი, ველოდი იმ დროიდან, რა დროიდანაც ლენინისა და სერგო ორჯონიკიძის ძეგლები ჩამოაგდეს, რაც გარეგნულად ერთი ეპოქის დასრულებასა და ახლის დაწყებას მოასწავებდა. მაგრამ, ედუარდ შევარდნაძის ერთპიროვნული მმართველობის ხანა კვლავ გაგრძელდა და საკმაოდ დიდხანსაც. დღეს დადგა დრო, რომ საქართველო მსოფლიოს სხვა ცივილიზებულ ხალხთან ერთად დაადგეს დემოკრატიული აღმშენებლობის გზას. 23 ნოემბრის რევოლუციამ დამიბრუნა რწმენა იმისა, რასაც ამდენი წლების განმავლობაში ველოდი. მე, როგორც ჯაზმენი ყოველთვის ვემსახურებოდი ამაღლებულ იდეალებს. იმ ეპოქაში, როდესაც ჯაზ-მუსიკა აკრძალული იყო და მისი არა თუ შესრულებისთვის, არამედ მოსმენისთვისაც საშინლად ისჯებოდნენ, პირველმა შემოვიტანე ჯაზი ჩვენს ყოფიერებაში და ასეთი გზით წინ აღვუდექი იმდროინდელ დიქტატურას. დღეს, როდესაც ჩემს განვლილ ცხოვრებას ვაანალიზებ, მე ბედნიერი ვარ, რადგან ვიყავი იმ წყობისა და მმართველობისათვის რევოლუციურად მოაზროვნე, რომელმაც თუნდაც მუსიკის საშუალებით პროტესტი გამოვხატე და ვუმღერე ადამიანის ნებისა და სულის თავისუფლებას.

**ინტერვიუს დასასრულს გიული ჩოხელმა ასე დალოცა „საქართველოს ქალის" ჟურნალისტები:**

– თქვენ ნამდვილ ქართულ საქმეს ეწევით. გისურვებთ ახალ საქართველოში მშვიდობიან ცხოვრებას. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

**ესაუბრა მეგი ჯიჯავა**



# ჩემს სამშობლოში



● თენგიზ აბულაძე

31 იანვარს თენგიზ აბულაძეს 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ერთ დღეს ჩვეულებრივ დაიძინეს და მეორე დილით სახელგანთქმულებმა გაიღვიძეს. თუმცა, სახელისათვის ერთი დღეც არ უშრომია. იგი უბრალოდ თავის საქმეს აკეთებდა: კინოშედევრებს ქმნიდა! ეს იყო და ეს. კინო მისთვის მხოლოდ პროფესია არ ყოფილა. ყველაფერი იყო, სიცოცხლეზე მეტიც კი. ერთხელ თურმე მეუღლემ, ქ-ნმა მზია მახვილაძემ უთხრა კიდეც: მე რომ მოვკვდე, ალბათ გადაღებას არ მოხსნი და ჩემს პანაშვიდზე არ მოხვალო. მაგრამ ეს ფაქტის კონსტატაცია უფრო იყო, ვიდრე საყვედური ან თუნდაც ხუმრობა.

თენგიზ აბულაძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რეპრესიების წნეხის ქვეშ რომ იზრდებოდნენ და უამრავ უსამართლობას უხმოდ იტანდნენ. თუმცა, გადატანილი ტკივილი და გაჭირვება უკვალოდ როდი ქრებოდა, სადღაც გულის სიღრმეში დაუმონტაჟებელი კადრებივით ფენა-ფენა ილექებოდა, რომელიც წლების მანძილზე თავს ახსენებდა, მოგონებებს ულვიძებდა, სულს უფორიაქებდა. ბ-ნი თენგიზი კი მოთმინებით ელოდა იმ დროს, როცა ყველა უსამართლობის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრებდა და როგორც თავად ამბობდა, იბრძოლებდა ამაღლებულისა და მშვენიერების დასამკვიდრებლად. წუთისოფელი მისთვის კეთილისა და ბოროტის მარადიული ჭიდილი იყო. ამიტომაც თვლიდა, რომ „წმინდა იდეალებისა და ამაღლებული სულისკვეთების გარეშე შეუძლებელია ცხოვრება. ვინაიდან ადამიანთა არსებობა ჩიხში ემწყვდევა, ზნეობა ეცემა, ბოროტს ფართო სარბიელი ეხსნება. ადამიანი რწმენის გარეშე პირუტყვად იქცევა"...

არადა, რამდენი ათეული წელი იყო მცდელობა, რომ თაობები რწმენის გარეშე გაეზარდათ. ახლა ძნელია იმაზე მსჯელობა, შეძლეს თუ არა ადამიანების პირუტყვად ქცევა ეშმაკის მსახურებმა, ნაწილობრივ ალბათ, შეძლეს, ამას დრო უკეთ გვიჩვენებს, მაგრამ ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: საქართველოში რწმენის და იმედის გადარჩენა იმ ადამიანების წყალობაა, რომლებიც მთელი არსებით, სიტყვით, საქმით ებრძოდნენ ბოროტებას. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება თენგიზ აბულაძე, რომელიც თავის შედევრებს იმ დიადი მიზნით ქმნიდა, რომ (აქ ისევ მის სიტყვებს მოვიშველიებ) „მაყურებელს ეგრძნო რარიგ დამღუპველია ადამიანებისათვის „ბილწთან ზავით შეკვრა", რარიგ აუცილებელია „გაუტეხელი გულით" და „მოუღალავი მკლავით" ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და ბოლოს, რარიგ მნიშვნელოვანია გულმხურვალე ვედრებითა და მონანიებით მოშუშება იმ წყლულებისა და იარებისა, რაც საუკუნეების მანძილზე მიაყენა ბოროტებამ კაცობრიობას".

მას არ შეეძლო და არ სურდა ცხოვრება ზნედაცემულ საქართველოში, სადაც ადამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი არა აქვს. იგი მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა უზნეობას, ადამიანებში მხეცური ინსტინქტების მომძლავრებას. ვერ გეტყვით, რამდენად გაუტეხელი დარჩა მისი გული, მაგრამ ცხოვრების პრინციპები რომ ბოლომდე უცვლელი იყო, ამაზე მისი უკვდავი ქმნილებებიც შესანიშნავად მეტყველებს.

აღიარება ნამდვილად არ აკლდა, რადგან შეუძლებელი იყო მისი შემოქმედების მნიშვნელობის და სიდიადის „არდანახვა", თუმცა, დაფასებული ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ უფრო იყო. ყველა მისი ფილმი სხვადასხვა საერთაშორისო პრიზით აღინიშნა. საქართველოში კი მისი იუბილის აღნიშვნაც „ავიწყდებოდათ", მაშინ, როცა ყოველთვის ახსოვდათ სხვაგან, ვთქვათ თუნდაც მოსკოვში.

აქვე გაგახსენებთ ამერიკელთა დელეგაციის სტუმრობას კინოს სახლში, როცა ერთ-ერთმა კინოდრამატურგმა ასეთი ფრაზა თქვა: „მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები იმ ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიო კინოს თენგიზ აბულაძე მისცა".



● ქეთევან აბულაძე

ყველაზე მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი კი ალბათ მაინც ის არის, რომ თენგიზ აბულაძის ფილმებისადმი მაყურებლის, ვისთვისაც იქმნებოდა „სხვისი შვილები", „ვედრება", „ნატვრის ხე", „მონანიება" და სხვა და სხვა, ინტერესი, სიყვარული დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება.

თითოეული ფილმი აღმოჩენა იყო, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული და ამავე დროს თითქოს ოქროს უწყვეტი, უხილავი ძაფებით დაკავშირებული. როგორც თავად რეჟისორი განმარტავდა, მისი ფილმებისათვის საერთო იყო „კეთილისა და ბოროტის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მაღალი სულისკვეთების მატარებელ ადამიანთა დაუმარცხებლობის იდეა. ყველაფერ იმას, რაც ზნეობრივ ნორმებს სცილდება და ამორალურია, ყველაფერ იმას, რაც ქრონიკულ დაავადებასავით მოედება ხოლმე დროდადრო ყველა ქვეყანას და ყველა ეპოქას, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს".

თენგიზ აბულაძე საქართველოსთვის ყველაზე უმძიმეს და სამარცხვინო დროს წავიდა ამ ქვეყნიდან. ჯერ თბილისის ომი, შემდეგ აფხაზეთის... იმ პერიოდში ბევრი ნიჭიერი შემოქმედი გარდაიცვალა. მათ თითქოს აღარ სურდათ ეცხოვრათ იქ, სადაც კაენის ცოდვა ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა და პროტესტის ნიშნად დატოვეს ეს ქვეყანა.

— ბოლო დროს მამა ხშირად ამბობდა, ამ ქვეყანაში ჩემი ად-

# უცხოდ ვგრძნობ თავს...

გილი აღარ არის, უცხოდ ვგრძნობ თავს ჩემს სამშობლოშიო, – იხსენებს ბ-ნი თენგიზის ქალიშვილი ქეთევან აბულაძე, – ვერ იგებდა რისთვის ან ვისთვის იყო საჭირო ამხელა მსხვერპლი. ამასთან, კინოსტუდიაც ფაქტიურად დაიხურა და უმოქმედობისაგან აღარ იცოდა, რა ექნა, მართალია, წუწუნი არ უყვარდა, მაგრამ ხანდახან მაინც ამოხეთქავდა გულიდან დარდი და ვარამი. საოცრად მორწმუნე ადამიანი იყო. ხშირად ანთებდა სანთლებს. თქვენ წარმოიდგინეთ, სანთლების ჩამონაღვენთსაც კი აგროვებდა. შემდეგ მრგვალი ფორმა მისცა და ლოცვისას მასზე ამაგრებდა სანთელს.

უაღრესად პატიოსანი, ერთგული, პუნქტუალური და შრომისმოყვარე იყო. სულ გვეუბნებოდა, რისი გაკეთებაც შეიძლება დღეს, იმას ხვალისთვის ნუ გადადებ. გადადებული საქმე ეშმაკისააო. პასუხისმგებლობის გრძნობა ზეხარისხში ჰქონდა აყვანილი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მამამ ათი მცნების სრული დაცვით იცხოვრა. ჩემს ძმისშვილს ანდერძივით დაუტოვა, თუ ისე იცხოვრებ, რომ შეძლებ და ათ მცნებას არ დაარღვევ, მაშინ მრავალცოლიანობაც გეპატიებაო. ალბათ, ამით ბიბლიური მეფეების გამართლებას თუ ცდილობდა. თავად კი დედაჩემის ერთგული იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ერთხელ ვიღაცამ ანგელოზის გამოსახულება აჩუქა. თან ასე უთხრა თურმე, სადაც ამ ანგელოზს დაამაგრებ, ის ადგილი გახდება შენი საყდარი და ილოცეო. მამამ თავის ოთახში მიუჩინა ადგილი და ხშირად ლოცულობდა მის წინაშე. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ეკლესიაში აღსარებაზე ხშირად დადიოდა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ზედმიწევნით იცავდა.

მისგან განსხვავებით დედა ძალიან ეკლესიური იყო.

**– გამიგონია, რომ ყველა დიდი ადამიანის უკან დიდი ქალი დგასო. როგორ ფიქრობთ, დედათქვენისთვის ადვილი იყო თუ რთული თენგიზ აბულაძის მეუღლეობა?**

– დედას და მამას დიდი სიყვარული აკავშირებდათ. დედამ კარგად იცოდა მეუღლის ფასი და ყველანაირად ცდილობდა მისთვის ხელი შეეწყო. ოჯახს ფაქტიურად დედა უძღვებოდა, შვილებზე პასუხისმგებლობაც ძირითადად მას ეკისრებოდა. ამდენად, მამას შეეძლო მთელი არსებით გადართულიყო თავის საქმეში და ასეც იყო.

მამას ისიც ეხმარებოდა, რომ ოჯახში მართლაც ამაღლებული ატმოსფერო სუფევდა. დიდი თუ პატარა ხელოვნებით ვსუნთქავდით. გვიან ღამემდე ვსაუბრობდით კინოზე, თეატრზე, ლიტერატურაზე. მახსოვს ბებო ხუმრობდა კიდეც, ასე მგონია, ამ სახლში ყველა კინოს იღებსო. ეს განწყობა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ჩემი ძმის ცოლი ნანა ჯანელიძე გახდა.

**– როგორი მამა იყო ბ-ნი თენგიზი?**

– მოსიყვარულე, მზრუნველი. ხოლო ის, რომ დიდი რეჟისორი იყო, მოგვიანებით აღმოვაჩინე. და რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო იზრდებოდა მამა ჩემს თვალში. შეუპოვარი ბუნების იყო, მომთხოვნი, თუმცა, კატეგორიული არასოდეს ყოფილა. ძალდატანებით არაფერს გაგაკეთებინებდა. ურთიერთობაში უფროს-უმცროსობა წაშლილი იყო, ყოველთვის იზიარებდა ჩემს აზრს.

მამამ კარგად იცოდა თავისი ფასი, მაგრამ არასოდეს არ უსარგებლია თავისი სახელით და არაფერი მოუთხოვია.

**– ბ-ნი თენგიზის ფილმებში ეპიზოდური როლიც კი მნიშვნელოვანია. თქვენ კი „მონანიებაში“ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულეთ. როგორ მოხდა თქვენი შერჩევა ამ როლზე?**

– მამამ „მონანიების“ გადაღება რომ დაიწყო, სტუდენტი ვიყავი. ვიცოდი, რაღაც როლს მომცემდა, მაგრამ მთავარ როლს ნამდვილად არ ველოდი. მამამ სადიპლომო სპექტაკლში მნახა და მაშინ გადაწყვიტა ნინო ბარათელის როლი მოეცა. შემოთავაზება საკმაოდ ბუნებრივად მივიღე. მაშინ ჩემს ძალებში აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული. სასინჯი გადაღებებიც კი არ გვქონია.

მამა-შვილობა მუშაობისას გამორიცხული იყო. გადაღებებზე მკაცრი იყო და არც იყო. ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ გაბედავდა. მისი ერთი შემოხედვაც საკმარისი იყო. როგორც ჩანს, როცა ახალგაზრდა ხარ, ყველაფერს იოლად უყურებ. თუმცა, ზოგიერთი ეპიზოდის შესრულება შედარებით გამიჭირდა. იმ დროს თეატრშიც ძალიან დაკავებული ვიყავი. გადაღებებიდან სპექტაკლებზე გავრბოდი. კარგად მახსოვს ის დღე, როცა მიწაში ჩამარხვის ეპიზოდი გადავიღეთ. იმ შეგრძნებას დღემდე ვერ ვივიწყებ. მიწა სველი, მძიმე და ამავე დროს გასაოცრად თბილი იყო.

**– რატომღაც მეგონა, რომ შიშის გრძნობა გექნებოდათ...**

– პირიქით, საოცრად კმაყოფილი ვიყავი. თითქოს ახალი ენერგიით აღვივსე. ზოგი ადგილი ფიზიკურად იყო რთული შესასრულებელი, ზოგიც ფსიქოლოგიურად.

ახლაც მახსოვს როგორ გავრბოდით მე და დათო ხვლიკებითა და ვირთხებით სავსე გვირაბში, მუხლებამდე წყალში. ან კიბეებზე როგორ ავრბოდით. დათოს ძლივს ვეწეოდი, თითქმის მიმათრევდა. მამამ უყვირა კიდეც, ცოტა ნელა გაიქეციო.

ის ეპიზოდი, ცხენებით რომ მოგვდევდნენ, რამდენიმე დუბლი გადავიღეთ და ბოლოს ისე დავიღალე, კინაღამ ცხენის ფეხებქვეშ აღმოვჩნდი.

გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ გახმოვანებისას ავად გავხდი და ჩემი როლი მარი ჯანაშიამ გაახმოვანა.

**– ბ-ნი თენგიზი ისეთ ასაკში გარდაიცვალა, როცა კიდევ შეეძლო ბევრის გაკეთება. პროექტები თუ ჰქონდა?**

– ძალიან საინტერესო გეგმები ჰქონდა. სურდა გადაეღო ფილმი ილიას მკვლელობიდან გალაკტიონის თვითმკვლელობამდე, რომელიც მთელ ეპოქას დაიტევდა...

ხელოვნების მთავარი დანიშნულება კათარზისია. კარგად მახსოვს თენგიზ აბულაძის ფილმების ნახვის შემდეგ მაყურებელი ჩაფიქრებული, სულიერად განწმენდილი და თითქოს ამაღლებული გამოდიოდა დარბაზიდან.

„მონანიება“ კი, რომელიც ბ-ნი თენგიზის შემოქმედების მწვერვალია, მაყურებლისთვის ნამდვილი შოკი იყო. მით უფრო, რომ მისი ნახვა გასაიდუმლოებულად თუ შეიძლებოდა.

ფილმის ფინალში ვერიკო ანჯაფარიძის გმირი კითხვას სვამს:

„მაშ, რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს?“

პასუხი ამ კითხვაზე ისევ ბ-ნი თენგიზის ჩანაწერებში ამოვიკითხე:

– „ტაძარი მოქმედი პირი გამოდის. მას იცავენ... მას ვერ იცავენ... და ბოლოს კლავენ (და თურმე ვერ მოუკლავთ). ძლიერნი ამა ქვეყნისანი ვერ იტანენ ტაძარს, ვერ იტანენ მის გავლენას ადამიანზე. ამით ხომ მათ მონოპოლიას ადამიანის სულზე საშიშროება ემუქრება? აქ ლაპარაკია ტაძარზე, არა როგორც საკულტო ჩვეულებათა აღსრულების ალაგზე, არამედ როგორც სიმბოლოზე სიმაღლისა, სიწმინდისა, სულიერი დამოუკიდებლობისა. ამ გაგებით დოსტოევსკის შემოქმედებაც ტაძარია: და ხომ იყო ამ ტაძრის ხელყოფის შემთხვევები? გავიხსენოთ ახლა ახმატოვა, ცვეტაევა, პლატონოვი და სხვები. ჩვენთან – ვაჟა-ფშაველა, ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვები.

და მართლაც, რა საჭიროა გზა, რომელსაც ამათკენ (ამ ტაძრებისაკენ) არ მივყავართ?“

ჩვენ კი, სანამ ჯერ კიდევ შეგვიძლია გაჭირვებულს დახმარების ხელი გავუწოდოთ, სანამ შეგვწევს უნარი მოვინანიოთ ჩადენილი ცოდვები, სანამ კიდევ შეგვრჩენია „გაუტეხელი გული“ და „მოუღალავი მკლავი“, შევთხოვოთ უფალს, ისმინოს ჩვენი ვედრება, მოგვიტევოს ცოდვები და გვაპოვნინოს გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს!..

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიფა რიფათი

გამოჩენილი ეგვიპტელი მწერალი ქალის ალიფა რიფათის ნოველების მთავარი თემა სოციალურად და სექსუალურად დაჩაგრული ქალია. მისი რწმენით, სიყვარული ყველას კანონიერი უფლებაა, სექსი კი – დასძენს იგი, სულიერ-ფიზიკური მდგომარეობის გამოხატვა და ალბათ ის ერთა-ერთი ჯილდო, რომელიც ამ წარმავალ წუთისოფელში მივიღეთ.

# გრძელია ზამთრის ღამე



მხატვარი **ცინარა ტერელაძე**

ძილ-ბურანიდან გამორკვევის იმ ერთ წამს, რომელიც დროის საზღვრებს მიღმაა და მარადიულობის შეგრძნებას ანიჭებს ადამიანს, ზანუბას ღამის ხმები ჩაესმა – ბადეს მოყოლილ სრიალა თევზების ფართხალს რომ წაავავს. ქალს თანდათან უბრუნდებოდა ცნობიერება. სოფლის გადაღმა ბაყაყების უაზრო ყიყინი, ძაღლების ყეფა ისმოდა – თითქოს მათთვის გასაგებ ენაზე საუბრობენო. იმწამსვე მიხვდა, რომ საწოლში იწვა, მარტო იყო აცეკვებულ ჩრდილებთან, გაზის ლამპის ჩაწეული პატრუქის მილეული სინათლე დახეთქილ კედელზე რომ ხატავდა. იცოდა, ძილი აღარ მიეკარებოდა. ინატრა, მალე დამდგარიყო განთიადი და ლოცვის დრო.

ქმრის დაბრუნების მოლოდინში, ღამეული ხმების ნაცვლად, მოგონებებს მისცა თავი. მრავალი ღამე გაუტარებია, ამ ღამის მსგავსად, თავის გალაღებულ ბავშვობაზე ფიქრში. დაბრუნებია იმ დახურულ სამყაროს, რომელშიც ასე იოლად იმკვიდრებენ თავს ბავშვები, მამის სახლში გატარებულ უზრუნველ დღეებს, სადაც სიყვარული და სინაზე სუფევდა და ორივე – ბავშვის ბუნებრივი უფლება იყო ყოველგვარი ანგარების გარეშე, სიყმაწვილის დღეებს, სადაც სიკვდილი არ დომინირებს, დარდს კი ერთ ღამეზე მეტი არ უწერია. სოფლის ორღობეებში დაეხეტებოდა თანატოლებთან ერთად, შედიოდა და გამოდიოდა, სადაც მოისურვებდა. ზოგჯერ მთვარიან ღამეებში ახალგაზრდა გოგონებთან ერთად მინდორში ნავარდობდა. მღეროდნენ სიმღერებს, რომელთა აზრს, ბუნდოვანსა და სასიამოვნოს, დაახლოებით ხვდებოდა: „გრძელია ზამთრის ღამე... ჩამეკარი და ჩაგეკრობი... ზამთრის ამ გრძელ ღამეს...“ – დაუღალავად და დაუცხრომლად იმეორებდნენ და თან ტაშს უწყობდნენ.

და უცებ, დაქალებისთანავე, როცა ჩითის კაბის ქვეშ მკერდი ამოებურცა, ისე მოსწყვიტეს ბავშვობის სამყაროს, როგორც ჩანასახი თბილ საშოს. თანატოლებთან თამაში აუკრძალეს. მალე, მიწა ისევ ოჯახს რომ დარჩენოდა, თავის ბიძაშვილზე ალ-ჰაჯ[1] ჰამდანზე გაათხოვეს. მჭიდროდ დასახლებული სოფლის მამისეული პატარა სახლიდან გადაღმა, ქმრის მამულში მდგარ განმარტოებულ სახლში გადაბარგდა. მაღალ ორსართულიან შენობას, ჩრდილოეთის მხარეს გამავალი ქვით მოგებული მისაღები ოთახებით, ხის იატაკიანი ზამთრის დარბაზებით, ხეხილიანი ბაღებითა და ბოსტნებით, ირგვლივ მაღალი გალავანი ერტყა, რომელზეც დამსხვრეული მინის ნატეხები მიმოებნიათ.

ქორწილის ღამეს, როდესაც პირველად შეიყვანეს ფართო კარში, განსაკუთრებული შთაბეჭდილება თეთრ კედლებზე წითელი საღებავით მოხატულმა დიდმა აქლემმა – სახლის პატრონის პილიგრიმობის სიმბოლომ და ავი თვალისაგან დასაცავად ხელის მტევნების წითელმა ანაბეჭდმა მოახდინა.

და ბოლოს, დადგა ღამე და ალ-ჰაჯ ჰამდანმა ხელში აყვანილი საწოლზე დააწვინა. ეს იყო ტკივილისა და ძალადობის ღამე. ის, რაც მის თავს ხდებოდა, არ ჰგავდა მანამდე განცდილსა და ნანახს. იქიდან მოყოლებული, უამრავჯერ განმეორებულა მსგავსი რამ: ქმრის უხეში ხელების ფათური სხეულზე, კაიფში მყოფი კაცის მყრალი ოხშივარით დანერწყვილი სუნთქვა ტკივილის გრძნობას ზიზღში უცვლიდა. მაგრამ დაემორჩილა ქმარს, შემდეგ შვილებისთვის – დედობას და ირწმუნა, რომ ქმრის სახლს, მისი დაცული ნაწილის[2] დიასახლისი, მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მაშინ დააღწევდა თავს, როცა სასაფლაოზე წაიღებდნენ.

ის პირველი ღამე გაიხსენა, როცა გამოღვიძებულს ქმარი გვერდით არ დახვდა, როგორ წამოდგა მოსაძებნად და პატარა შინამოსამსახურის გვერდით მწოლიარე, ღუმელის წინ მდგარ მასტაბაზე[3] იპოვა.

როცა კაცთან ერთად საწოლ ოთახში დაბრუნდა, ისეთმა სიძულვილმა და სიმწარემ ამოხეთქა, ყოველგვარი აღზრდა, ტრადიციები გადამალა და ქმარს გაყრა მოსთხოვა. მან კი ზურგი შეაქცია და უთხრა:

– რატომ გაგეყარო? წადი დედაშენს ჰკითხე: მამაშენი მთელ დღეს სალოცავ ფარდაგზე ატარებდა? დაიძინე და კმარა წუხილი.

მეორე დღეს ოქროს საყურეები მოუტანა და თავზე ნაზად აკოცა. გადიოდა დრო. ისევ მეორდებოდა მსგავსი ღამეები – ოქროს საჩუქრები. შინამოსამსახურეთა ცვლა. კაცი, როგორც ოჯახის უფროსი, უმიზეზოდ ითხოვდა მათ და ახლებს ღებულობდა.

არ ასვენებდა მამაზე ეჭვი, რომელიც ქმრის ნათქვამმა გაუჩინა იმ საბედისწერო ღამეს. ნუთუ სიმართლეა ის გადაკრული სიტყვა დარბაისელ კაცზე, რომელსაც ასეთი ავტორიტეტი ჰქონდა სოფელში? ეს სასიამოვნო წვეროსანი ზოგჯერ მუხლებზე დაისვამდა და ნოედან მოყოლებული ყურანში მოხსენიებულ წინასწარმეტყველთა ისტორიებს უყვებოდა. მერე ძილმორეული ხელში აყვანილი საწოლში გადაჰყავდა. მუშკის ძლიერი სურნელით გაჟღენთილი მამის აბაზე[4] უბრალო შეხებაც კი სიმშვიდეს და რწმენას მატებდა, რომ კარგი მამა ჰყავს და ქვეყანა სიკეთითაა სავსე.

ის დილა გაიხსენა, როცა სოფლიდან ჩამოსულმა დედამ მოინახულა. ვირზე ამხედრებულმა ქალმა თაღებიანი ქვის ხიდი გადმოიარა ნამცხვრებითა და ღვეზელებით სავსე კალათებით დატვირთულ მსახურთან ერთად. ეს დღესასწაულის წინადღეს დილით მოხდა. როცა ქალს ქმრის საფლავის მონახულება ევალება. დედამ თავისი მოგზაურობა ქალიშვილთან სტუმრობით დაასრულა.

ჩაის სმის დროს როცა, როგორც მოხუცებს სჩვევიათ ხოლმე, სოფლის ამბებს უყვებოდა, ზანუბამ ძლივს გაბედა და ჰკითხა ის, რაც ამდენ ხანს ტვინს უფორიაქებდა. დედამ მზერა ჩაის ჭიქაზე გადაიტანა და თქვა:

– ყველა კაცი ერთნაირია.

– მამაჩემიც კი?

ვიდრე უპასუხებდა, ქალმა ერთი ყლუპი ჩაი ხმაურით მოსვა:

– ჩემო გოგო! ისიც კაცი იყო. ალაჰიმც შეიწყალებს მას და პატივს მიაგებს.

ზანუბას უნდოდა საუბარში უფრო შორს შეეტყუებინა დედა. ნუთუ მანაც გადაიტანა კოშმარი, რომელშიც თვითონ ცხოვრობს? ნუთუ ყველა ქალის ხვედრია ეს ტანჯვა? მაგრამ დედამ მზერით გააჩუმა – თითქოს აფრთხილებდა, შორს არ შეეტოპა. შემდეგ ქალმა ქმრის სულის მოსახსენიებლად ფათიჰას[5] კითხვა დაიწყო. ზანუბაც მიყოლებით იმეორებდა აიებს. ახლა... აღარც დედაა ცოცხალი. ქმარი კი იმ ასაკშია, რომელშიც მამა გარდაიცვალა. ლოცვის დროს მის სახსრებს ხრაშახრუში და ტკაცატკუცი გაუდის. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ იკარგება ღამღამობით, ჯერ კიდევ ეზიდება საჩუქრებს, ნუთუ აღარ კმარა?!

მეორე ჰაჯიდან დაბრუნებული ქმარი ერთხანს შეცვლილი ეჩვენებოდა. მერე მოულოდნელად, მოახლე გოგო ისე გათავხედდა, რომ მის ბრძანებებს აღარ ასრულებდა. იმედგაცრუებული გუმანით მიხვდა მიზეზს. მტკიცე გადაწყვეტილებამ საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა, დაჟინებით მოითხოვა შინამოსამსახურე სოფელში დაებრუნებინათ.

რამდენიმე დღის შემდეგ სხვა მოახლე მოიყვანეს, ჯერ ისევ ბავშვი. პირველი ორი დღე ტირილში გაატარა – დედას ითხოვდა. სად არის ახლა ქმარი, თუ არა მასთან? განა ასე შეიძლება?

საწოლის ფეხთან მდგარ კერამიკულ ღუმელში მინავლული ნაღვერდლების კრთომას ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებოდა და ყოყმანობდა, ამდგარიყო და ჩასულიყო თუ არა ქვედა სართულზე. ამ დროს მოესმა, რა ფრთხილად მოაჩოჩებდა კაცი ფეხებს. თვალები დახუჭა. ქმარი უჩუმრად მიუწვა გვერდით. საფარებელი თავისკენ მოქაჩა, გაეხვია და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ქალი ოდნავ შეირხა საწოლში. ფრთხილობდა, მისი დაძაბული სხეული ქმრისას არ შეხებოდა. დიდი ხნის მანძილზე კაცის წინააღმდეგ ჩახშობილი ზიზღი ცივ სიძულვილში გადაეზარდა. იმედი, რომ რამე შეიცვლებოდა, ახლა საბოლოოდ გაუქრა. სურვილი – ყვარებოდა ვინმე ან თვითონ ყოფილიყო სასურველი, ისევე სრულად შემორჩა დღემდე, როგორც ყნოსვა, მხედველობა, შეხების შეგრძნება. ლამპა აბრიალდა, პატარა სარკმელს გახედა – განთიადის მაუწყებელი ბინდი იჭრებოდა ოთახში.

სუნთქვაშეკრული ლოგინიდან გამოძვრა. წინგაშვერილი ხელების ცეცებით გაიკვლია გზა ოთახიდან კიბის მოაჯირამდე და ქვედა სართულზე ჩავიდა. მოახლე გოგოს ღუმელზე ეძინა. ნარგიზმა თავი წამოყო.

– გნებავთ რამე, ქალბატონო?

– არა, ნარგიზ.

მერე უბრძანა:

– ისეთი არაფერი... ადექი, ცხელი წყალი მოიტანე, ბანაობა მინდა.

ოთახში დაბრუნდა. ქმარს ისევ ღრმად ეძინა. პირსახოცს ხელი დაავლო, კერამიკული ღუმელი აიღო და სააბაზანოში იქვე, კუთხეში მიდგა. სულს მანამდე უბერავდა ნაღვერდლებს, ვიდრე არ გააღვივა. მერე კედლიდან სპილენძის ტაშტი ჩამოხსნა. ნარგიზიც მოვიდა – ცხელი წყლით სავსე ჩაიდანი მოიტანა და რამდენიმე წვეთი ვარდის წყალი ჩააპკურა. ზანუბამ ღამის პერანგი გაიძრო და ტაშტში ჩადგა, თან ნარგიზს უყურებდა. გოგომ სახე მოარიდა. ქალმა უთხრა:

– ნუ გეშინია, ნარგიზ. გაიძრე პერანგი, რომ ზურგი გამიხეხო.

ნარგიზი შემოტრიალდა. ზანუბამ თვალი შეავლო გოგოს სხეულს. ერთ დროს ისიც მასავით ლამაზი იყო, ამის თქმაც კი დააპირა, მაგრამ გონს მოეგო, თავი შეიკავა და ნაცვლად ამისა უთხრა:

– ნარგიზ, კმაყოფილი იქნები აქ ყოფნით. თუ ღმერთი ისურვებს, დიდხანს დარჩები ამ სახლში.

მერე ტაშტში ჩაცუცქდა, რომ გოგოს ზურგზე წყლის დასხმა შესძლებოდა და უბრძანა:

– ზურგი გამიხეხე ქისით.

როცა მოახლე დაიხარა, ზანუბამ მკვრივი ძუძუების შეხება იგრძნო ბეჭებზე. ტანში ჟრუანტელმა დაუარა:

– უფრო მაგრად გამხეხე, უფრო მაგრად...

უხეში ქისა ტკივილამდე კაწრავდა ქალის ზურგს.

*[1]ჰაჯი – პილიგრიმი, რომელმაც მექა მოინახულა და სარწმუნოებრივი წესები შეასრულა.*

*[2]დაცული ნაწილი – სახლის ის ნაწილი, რომელიც ქალებისთვისაა განკუთვნილი და უცხო მამაკაცს შესვლა ეკრძალება.*

*[3]მასტაბა – ქვის განიერი სკამი.*

*[4]აბა – ერთგვარი მოსასხამი შალის ქსოვილისაგან.*

*[5]ფათიჰა – ყურანის პირველი სურა.*

**არაბულიდან თარგმნა იზოლდა გრძელიძემ**

# ბრიტანელი კრიტიკოსების „წლის აღმოჩენა"



● ინგლისის დედოფალი ელისაბედ მეორე ქეთი მელუას ესალმება

ბრიტანულ მუსიკალურ სცენაზე ახალი ვარსკვლავი აკიაფდა. ქართველ ემიგრანტს ქეთი მელუას სენსაციური აღმავლობა ჰქონდა – 22-ე ადგილიდან მეცხრეზე გადაინაცვლა, შემდეგ მეოთხეზე და უცებ პირველი ადგილი – „პლატინის დისკი".

ორმოც ტოპ ალბომს შორის, მუსიკალურმა საიტებმა გამოაქვეყნეს, მელუა პირველ ადგილზეა და ისეთ აღიარებულ მუსიკოსებსა და ჯგუფებს უსწრებს, როგორებიც არიან ვილ იონგი, მაიკლ ჯექსონი, დაიდო, კრისტინა აგილერა, ალისია კეისი, ნორა ჯონსი, ჯგუფები – „ქოლდფლეი", „ვაით სტრაიფსი" და სხვები.

ამ წარმატებას ბრიტანელი კრიტიკოსები სამართლიანს უწოდებენ და ქეთი მელუას „წლის აღმოჩენად" აღიარებენ.

მას შემდეგ, რაც კომპანია „დრამატიკომ" 300-ათასიანი ტირაჟით გაავრცელა მომღერლის „სადებიუტო ალბომი" და წარმატებით გაყიდა კიდეც, ქეთი მელუასთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც ხუთი ალბომის გამოშვებას ითვალისწინებს.

კანში, აუდიო და ვიდეო მუსიკის ინდუსტრიის საერთაშორისო ბაზრობაზე – „მიდემზე", სადაც მსოფლიო მუსიკოსების თავყრილობაა და წლის მიღწევების შესაჯამებლად ყოველწლიურად დაახლოებით 9 ათასამდე პროფესიონალი იკრიბება, სადაც „მიდების" გამოფენა უნიკალური პლატფორმაა პარტნიორებთან საკონტაქტოდ, ახალი პროდუქციის წარსადგენად ან თუნდაც, ინფორმაციის გასავრცელებლად, ჩადიან ხმის ჩამწერი კომპანიებისა და კომპაქტდისკების წარმომადგენლები, აგენტები, სატელევიზიო პროგრამების ავტორები, პრომოუტერები, ფესტივალების ორგანიზატორები, – მოკლედ ყველა, ვინც სერიოზულადაა ჩართული მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში. სწორედ აქ, „მიდემზე" 26 იანვარს, ბრიტანელ ქართველ მომღერალს ოფიციალურად გადასცეს „პლატინის დისკის" ავტორისათვის განკუთვნილი პრიზი. დაჯილდოებისას მელუას თან ახლდა ბრიტანეთის ვაჭრობის, საგარეო ურთიერთობათა და ინვესტიციების მინისტრი მაიკ ობრაუნი.

ახლა ინგლისის პრესა და ტელე-რადიო არხები ქართველი ქალიშვილის ქეთი მელუას ფოტოებითა და ინტერვიუებით არის აჭრელებული. გაზეთი „თაიმსი" ვრცელ სტატიას უძღვნის ახალგაზრდა მომღერლის შემოქმედებას.

ცნობილია, რომ ყოველწლიურად ედინბურგში ვარსკვლავების კონცერტები ტარდება და ტრადიციულად მას სამეფო ოჯახის წარმომადგენლები ესწრებიან. ამასწინათ, ერთ-ერთ ასეთ კონცერტზე ელისაბედ მეორეც ბრძანდებოდა. კონცერტის დამთავრების შემდეგ, მონაწილეთაგან საუბრის დიდი პატივი ერგოთ ცნობილ ტენორს ლუჩანო პავაროტის და 19 წლის ქეთი მელუას. დედოფალმა ქეთისთან 20-წუთიან საუბარში აღნიშნა, რომ რადიოთი უსმენს მის სიმღერებს, მოსწონს და ძალიან ნასიამოვნებია ქართველი გოგონას გაცნობით.

* * *

ვინ არის ქეთი მელუა, ვისი შვილი და შვილიშვილია, საიდან მოხვდა ინგლისში და რამდენი წელია იქ ცხოვრობს?

თბილისში, საბურთალოზე, საკუთარ სახლში ვესტუმრეთ ქეთის ბაბუას, ბატონ ამირანს, ბებიას – ქალბატონ თამარ ჯორბენაძესა და ბიძას – ავთანდილ მელუას.

ამირან მელუა წარმოშობით გურულია, სოფელ ძიმითიდან. იგი ოჯახით აჭარაში, ბათუმში ცხოვრობდა. ახლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტია, მის შვილსაც, ქეთის მამას, ამირანი ჰქვია და უკვე თორმეტი წელია ოჯახით ინგლისში ცხოვრობს. ის ცნობილი გულის ქირურგია და ამჟამად ლონდონის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში მუშაობს.

უმცროსი ამირანი პატარაობიდანვე ექიმობაზე ოცნებობდა. სკოლა წარჩინებით დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თან მუშაობა დაიწყო სანიტრად, ბოლო კურსზე უკვე ექიმი-რეანიმატორი გახლდათ. როცა მოსკოვიდან მოთხოვნა მოვიდა, ოთხი წარჩინებული კურსდამთავრებული გააგზავნეს. ერთ-ერთი ამირან მელუა გახლდათ.

მან მოსკოვის ბაკულევის სახელობის ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, მერე დისერტაცია დაიცვა და იქვე დაიწყო მუშაობა. როცა ბათუმის ჯანდაცვის ხელმძღვანელობამ გადმოსვლა შესთავაზა, ის სამ ადგილზე მუშაობდა კარდიოქირურგად – აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მეზღვაურებთან და მენავთობეებთან.

ქეთის დედაც თამარ ნოზაძეც ექიმია. ამჟამად ლონდონის მოხუცთა თავშესაფარში მუშაობს. დედამთილი და მამამთილი ძალიან აქებენ, მოსიყვარულე და ყურადღებიანი რძალიაო. მათი აზრით, ქეთის სიმღერის ნიჭი დედისგან გამოჰყვა. თამრიკოს მუსიკალური ათწლედი აქვს დამთავრებული.

ქეთი პირველ კლასში ბათუმის სკოლაში სწავლობდა. იქ მუსიკალურ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. მერე სასულიერო გიმნაზიაში გადაიყვანეს.

შემდეგ ამირან მელუა გემზე გააგზავნეს სამუშაოდ. მან ინგლისური ენა კარგად იცის და იქიდან კონკურსით ჩრდილო ირლანდიის ქალაქ ბელფასტში მოხვდა ექიმად. რა თქმა უნდა, ოჯახი საცხოვრებლად იქ გადავიდა. ქეთი ადგილობრივ კათოლიკურ სკოლაში მიიყვანეს, მისი ძმა ზურიკო სხვა სკოლაში.

პატარა ქეთიმ პირველად ბელფასტის ახალგაზრდა ტალანტთა შოუში მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა და საჩუქრებიც დაიმსახურა. შემდეგ მთავარი როლი შეასრულა მიუზიკლ „მუსიკის ჰანგებში“. იმდენად კარგად ითამაშა, რომ საბავშვო სპექტაკლი ლონდონის ტელევიზიამ უჩვენა.

მელუების ოჯახი ხუთი წელი ცხოვრობდა ჩრდილო ირლანდიაში. შემდეგ ამირანი ლონდონში მიიწვიეს, სადაც ქეთიმ სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა.

სწორედ მუსიკის სასწავლებლის დამთავრების გამოსაშვებ კონცერტს დაესწრო მაიკ ბატი, რომელსაც ძალიან მოეწონა ქართველი გოგონა და რომელმაც შემდეგ მწვანე შუქი აუნთო დამწყებ მომღერალს...

ახლა მელუები ლონდონში, საკუთარ ბინაში ცხოვრობენ. ამირანმა ორსართულიანი მშვენიერი სახლი იყიდა, მესამე სართულიც დააშენა ქალიშვილისთვის, სადაც მინი-სტუდია მოუწყვეს. დედ-მამა ძალიან უწყობდა ხელს ქეთის მომღერლად ჩამოყალიბებაში. ჯერ კიდევ ადრე, როცა ნაქირავებში ცხოვრობდნენ, ძვირფასი როიალი უყიდეს.

ბოლო დროს ქეთი თბილისში ვერ ჩამოდის, დაკავებულია კონცერტებითა და კონტრაქტებით. გასულ წელს მამამისი იყო ჩამოსული. შვილიშვილმა ბაბუას შემოუთვალა, ყველა ქართული სიმღერის ჩანაწერი გამომიგზავნეო, განსაკუთრებით „შავლეგო“ უნდოდა. რა თქმა უნდა, ბატონმა ამირანმა ყველაფერი გაუგზავნა და მისი საყვარელი ჩურჩხელები და ტყემლის საწებელიც.

ქეთის ბაბუა, ამირან მელუა ბევრი თბილისელისთვის საყვარელი პიროვნება, სტუმართმოყვარე და დიდი სამეგობრო კაცია. მას საბურთალოზე საკუთარი სახლი და იქვე ეზოში, სპეციალურად აშენებული საქეიფო დარბაზი აქვს. იქ მინი ფოტოგამოფენაცაა მოწყობილი. ბევრი თბილისელი კოლორიტის სახე ამშვენებს კედლებს. ბატონი ამირანი ჩვენი რედაქციის უახლოესი ადამიანების, აწ უკვე გარდაცვლილი ნანული ბარათაშვილისა და მისი მეუღლის კოტე ქორიძის, თეო აბაშმაძისა და მისი შვილის – თამაზ ცინცაძისა და სხვა ახლობლების მეგობარი ყოფილა. მაინც, რა პატარაა საქართველო, განსაკუთრებით თბილისი...

ამჟამად ბატონი ამირანისა და ქალბატონი თამარის ოჯახი საზეიმო განწყობით ცხოვრობს. ჟურნალისტები საიდან აღარ მოდიან, უკვე აღიარებული და პრიზებით დამშვენებული მომღერლის წარმომავლობის დასადგენად. ბაბუა ძალიან აქებს შვილიშვილს, უბრალო და კეთილი ბავშვიაო, ამბიციური არასოდეს ყოფილა და ალბათ, არც მომავალში შეიცვლება, თავისით მიაღწია ყველაფერს, ძალიან შრომისმოყვარე და ნიჭიერი გვყავსო.

მართლაც საოცრებაა, რომ ქართველი ქალიშვილის ვარსკვლავი ინგლისის ცაზე ამობრწყინდა. ქეთის ალბომმა რომ „პლატინის დისკის“ წოდება მიიღო – უდიდესი აღიარებაა. ასეთი წარმატება ქართველთაგან არავის რგებია.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს ქეთი მელუას, მის დედ-მამას, ბებია-ბაბუას და ბიძას ამ გამარჯვებას.

**P.S. თებერვლის ბოლოს ქეთი მელუა დიდ საკონცერტო ტურნეს იწყებს ბრიტანეთსა და ჩრდილო ირლანდიაში.**

**ირმა ჩოფიკაშვილი**

# მწვანე აფთიაქი

**მარწყვი** – ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, 5-20 სმ სიმაღლის, უხვი ღალისმომცემი, მრავალწლიანი, თაფლოვანი მცენარეა. სამკურნალოდ გამოიყენება, ნაყოფი და ღერო-ფოთლებიც. აგროვებენ ივნის-ივლისში.

**მარწყვის ფოთლების** ნახარშს ხმარობენ პირში გამოსავლებად, პირის ღრუში ცუდი სუნის მოსასპობად, სვამენ კუჭ-ნაწლავის ანთებისა და ღამით ოფლიანობის დროს. აგრეთვე, კუჭაშლილობის სამკურნალოდ, შარდმდენად და მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ.

**ნახარშის მომზადება:** 1 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ხმელ ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და 15-20 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. ამ დოზას მიიღებთ ერთი დღის განმავლობაში 3-ჯერ.

ბულგარეთში **ფოთლების ნახარშს** იყენებენ ნაღვლის ბუშტის, თირკმელებისა და საშარდე ბუშტის კენჭოვანი დაავადების საწინააღმდეგოდ. მარწყვით მკურნალობენ ელენთასა და გასტრიტს.

ბოლო წლების კლინიკური შესწავლით გამოირკვა, რომ ფოთლების ნახარშის დღეში 6-ჯერ მიღება (ერთ მიღებაზე 2-3 სუფრის კოვზი) დადებითად მოქმედებს ხორხის კიბოს დროს, მკურნალობის სხვა საშუალებებთან ერთად.

**მარწყვი** კარგია ჰიპერტონიის, კუჭაშლილობისა და ფაღარათის დროსაც.

**მოცვი** – მანანასებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი დაბალი 15-20 სმ. სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქია, ნიადაგში ჰორიზონტალურად განლაგებული ფესვურებითა და წიბოებიანი მწვანე ყლორტებით. ყვავის მაისიდან ივნისამდე, ნაყოფი ივლის-აგვისტოშია. გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში.

მოცვის ნაყოფი შეიცავს 12-77 პროცენტამდე მთრილავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავას, 6 პროცენტამდე შაქარს, 10-75 პროცენტამდე ვიტამინ C-ს და A-ს. ფოთლებშიც ნაპოვნია მთრილავი ნივთიერებები, არბეთონი, გლიკოზიტები, რომელთაც ინსულტის მსგავსი მოქმედების თვისება გააჩნიათ.

ხალხურ მედიცინაში მოცვის ნაყოფი შემკვრელი თვისებითაა ცნობილი, ყელის ტკივილის, გემაროიდული სისხლდენის, თირკმელების, კენჭოვანი დაავადების, ნიკრისის ქარების და რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებენ. ხმარობენ აგრეთვე, კისელის, სიროფის, მურაბის, ღვინისა და ლიქიორის დასამზადებლად.

**ფოთლების ნახარშს** იყენებენ დიაბეტის სამკურნალოდ. ფოთლებში არსებული გლუკოზიდი მნიშვნელოვნად ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას.

ხალხურ მედიცინაში **მოცვის ნაყოფი** აღიარებულია კუჭის კატარის სამკურნალოდ (კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის დროს), აგრეთვე კუჭნაწლავის ქრონიკული აშლილობისას, თირკმელების კენჭოვანი დაავადების, სისხლდენის, ანგინის, პირის ღრუს ანთების, ასევე ქერცლოვანი სირსველის სამკურნალოდ.

მოცვის ბევრი მიღება დადებითად მოქმედებს ნიკრისის ქარების, რევმატიზმისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს. მხედველობის გასაუმჯობესებლად ნაყოფის სპირტზე ნაყენს იყენებენ.

ფოთლები შეიცავს ფლავონურ გლიკოზიდებს, მარგანეცს, რკინას, ალუმინს, ქრომს, სპილენძს, ვერცხლს, ბარიუმსა და ტყვიას. ფოთლებს იყენებენ წყალმანკის, თირკმელების, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს. მას ინსულინის მსგავსი მოქმედება აქვს.

**მოცვის ფოთლების ჩაი** კარგია შაქრიანი დიაბეტისას. (60 გრ. 1 ლიტრ მდუღარე წყალზე), და ბუასილის სისხლდენის დროს (60 გრ. ფოთოლი 1 ლიტრ ადუღებულ წყალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როს გამოჩნდებოდა, ქუჩა ჩერდებოდა... კაცი ფარ-ხმალს ყრიდა და ტყვედ ნებდებოდა...



დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს ქალბატონმა დამანა მღივნიშვილმა — ჟურნალისტმა, მოღვაწემ და ბევრი კარგი წამოწყების მოთავემ. მან კუთხე-კუთხე, კარდაკარ მოიძია საქართველოს ტურფა ასულთა ფოტოსურათები, რომელთა სილამაზითაც ბრმავდებოდნენ ბევრისმნახველი უცხოელები, იხიბლებოდნენ და სიყვარულით კვდებოდნენ ქართველი ვაჟკაცები. ამ ლამაზ ასულთ მშვენიერებას ჭკუა-გონებაც ემატება. მათი მომხიბლაობა შერწყმულია კდემასთან, საღ აზრთან, საქმის სიყვარულთან... მათ უცხოვრიათ წინა საუკუნეში, ისინი ცხოვრობენ დღეს, ჩვენს გვერდით. ქალბატონმა დამანამ მათი ფოტოებით დამშვენებული ორი წიგნი გამოსცა, შესავალი წერილითა და სათანადო კომენტარებით. წიგნები ძვირი საჩუქარია და რადგანაც ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის, გადავწყვიტეთ ნომრიდან ნომერში გაგაცნოთ პირმშვენიერი და ხელმადლიანი ასულები.

თბილისში ყველა თაობას თავისი დროის თბილისი უყვარს. ამ სიყვარულის გახსენება, მისი ლამაზი წარსულით იწყება, იმ ადამიანებით, რითიმე გამორჩეულნიც რომ იყვნენ. „სიმართლე უნდა ითქვას, ქართველნი მართლაც მშვენიერები არიან მთელ აზიაშიო“. ამას ძველთაგანვე ამბობდა და წერდა უცხო ტომის ხალხი. საქართველოსთვის მშვენიერთა სავანე დაურქმევიათ და სილამაზის მშობლიური მხარეც უწოდებიათ. ამის დასტურად მინდა მრავალ მშვენიერთა შორის გავიხსენო ერთი თბილისელი ქალბატონი, ამჟამად ასაკში მყოფი, ულამაზესი ლია სარიშვილი, რომელზედაც ჯერ არავის უთქვამს, არ მომწონდაო. მისი სილამაზის წარმოჩენას მხოლოდ პოეტი შესძლებს. და აი ისიც: გიზო ნიშნიანიძე, პოემაში „პაემანი ვერაზე“ ამ მშვენიერი ასულის წარსულ სილამაზეზე ასე გვესაუბრება: „არ ვიცი, ღმერთი თუ ეშმაკი ერია მის გაჩენაში, თუმც ჩემი მტერია, ასეთი ხიბლით რომ ქალი დაიბადოს და იყოს, რაც იყოს, მით ბედნიერია...

ლურჯთვალა იას სილამაზისათვის სწყვეტენ, სიტურფის გარდა სხვა არა აქვს რა დანაშაული... ჩვენში დარჩეს, ჩვენი ბიჭობისდროინდელი თბილისის ბიჭებს ზღვაზე წასვლა არ გვჭირდებოდა უზარმაზარი ლურჯი წყლის სასწაულის სანახავად. ლია სარიშვილის თვალებში იყო შავი ზღვაც, თეთრიც, წითელიც, კასპიისაც. მარმარილოსაც და ოკეანეებიც. წყნარის გარდა... რამდენი მინახავს ამ ზღვაში დამხრჩვალი. ვინ ამოხსნა ამ ორი ოკეანის საიდუმლო, ვინ გადაურჩა მისი სიყვარულის ბერმუდის სამკუთხედს. ბავშვობის მინდორზე დასდევდა როს პეპლებს — ვარდი და ბარდი არ ისხამდნენ ნარ-ეკლებს და შაშვიც გალობდა სხვა ლაზათ-ეშხით. თეთრი გვირილებიც კი თავს ხრიდნენ მორჩილად, ფერი მისდიოდათ მიხაკს და ყოჩივარდს.

როცა ის დგებოდა — მაშინ თენდებოდა, როცა ის წვებოდა — მაშინ ღამდებოდა, როს პერანგს იცვამდა — ცისკრის ხარკს იცავდა, სუდრავდა საუნჯეს, იმის მზეს ვფიცავ და ღილ-კილოთი იგრავდა ყელამდე სიმდიდრეს.

ყელისზევით კი ჰგავდა მეტ სიმდიდრეს... როს თვალებს ნაბავდა — აწყვეტილს აბავდა, როს პირს იბანდა, აზელდა თვალს ანდა — მზე პირს იბანდა და ცისარტყელა ჩანდა, როს ცრემლებს აფრქვევდა — ქარი ტბას არხევდა, უპეებს უმღვრევდა, დალალებს აზევდა, როცა დადგებოდა — ქარიც ჩადგებოდა, როცა ჩუმდებოდა — ქარიც დუმდებოდა. ის რომ იცინოდა — ცისებრ ციმციმებდა, ციური მანანა თავს დასცინებდა. ცა გაიხსნებოდა, უცბად დარდებოდა, ვერ აიხსნებოდა, რაც მაშინ ხდებოდა. გამვლელ-გამომვლელი შემოეჯარდებოდა, კაცი ფარ-ხმალს ყრიდა და ტყვედ ბარდებოდა. როს გამოჩნდებოდა, ქუჩა ჩერდებოდა, თვალებით



● ლია შვილთან ერთად



● ლიას მეუღლე და შვილი



● ლია სასინჯი გადაღებისას

ჭამდა და ცქერით ვერ ძღებოდა. სიცოცხლედ, სიცოცხლის აზრს მაშინ ხვდებოდა, მკვდარი რომ მკვდარია, ისიც ცოცხლდებოდა. კაცი უნახავის უნახველი ხდებოდა, თავის შეკავება არ ხერხდებოდა. ამ თვალთა ბინდბუნდში ეშმაც შესცდებოდა და ყველა ფეხებში მას ებლანდებოდა. მას დააჭენებდა ბედი-ბედაური, ამ ბედნიერებით იყო უბედური და ჩვენც ხომ სიკეთის არ ვიცით გატანა, ფეხდაფეხ დასდევდა ანგელოზს სატანა.

ოქროს მთებს იდგამდა... ოქროთ დახურდავდა და ყოველ ნაბიჯზე ქურდავდა, ქურდავდა. დღემდე ვერ გავიგე, რა ბედი ეწია, ღმერთის წილ ღვთაებას ღმერთი შეეწიოს. ცოდვა ჩვენც მიგვიძღვის ცოტად თუ ბევრადა, სადა ხარ?.. მე, ამ ლექსს გადევნებ მდევრადა.

აქ გულზე ხელი უნდა დავიდო და ვთქვა: ერთი ცუდი ზნე ჭირს თბილისს – მზეთუნახავების შენახვა არ იცის".

დედისერთა ლია დაიბადა და გაიზარდა ვერის უბანში. ყველაზე მყუდრო, მჭიდრო დასახლებაში. მამა პლატონ სარიშვილი (მეტყევე-ინჟინერი), საკმაოდ შეძლებული ოჯახის პატრონი, ძველი ტრადიციის კაცი ყოფილა. როდესაც გურიაში სტუმრად მიდიოდა, ორ ეტლს შეაბმევინებდა, პირველში მისი ფაფახი იდო, ხოლო მეორეში თვითონ ჩაჯდებოდა. პლატონის მეუღლე ლიას დედა ელენე ილიას ასული მაჭავარიანი ულამაზესი ქალი ყოფილა. სპეციალობით ექიმი-პედიატრი გახლდათ. ელენეს მშობლების ოჯახში რვა შვილი იზრდებოდა. ოთხი გოგო და ოთხი ვაჟიშვილი. ყველა უმაღლესი განათლებით იყო. ვაჟიშვილებში გენერალი და ოფიცრებიც ჰყოლიათ. ქალბატონი ლიასთვის მათი გახსენება ტკივილიან სევდას იწვევს. არც ერთს ბედი არ ჰქონდაო. თუმცა საქართველოს დამსახურებული მსახიობის (დედის დის) ნუნუ მაჭავარიანის სახელს თბილისისა და თელავის სახელმწიფო თეატრები განსაკუთრებული სიყვარულით და სიამაყით ინახავენ.

ქალბატონმა ლიამ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და 25 წელიწადი მუშაობდა ექიმ-რადიოლოგად. კინოსტუდიიდან რამდენიმე შემოთავაზება ჰქონია მხატვრულ ფილმებში მონაწილეობისათვის, სასინჯი გადაღებებიც უწარმოებიათ, დაახლოებით 8 ფილმში გაუსინჯავთ. ყოველთვის დადებითი შეფასება მიუღია. მაგრამ ლიას რატომღაც მონდომება არ გამოუხატავს, და ამ საქმეში გზას ყოველთვის მეტოქეებს უთმობდა. პირველი მეუღლე ალექსანდრე ივარდავა, წარმოსადეგი, თბილისის კოლორიტი, შესანიშნავი ჟურნალისტი გახლდათ. მასთან ქალიშვილი – მანანა შეეძინა. მისგან ჰყავს ერთი შვილიშვილი ზვიად ელიზაშვილი, ეკონომისტია. მეორე ქორწინება ასევე შესანიშნავ წარმოსადეგსა და ქალაქისათვის საყვარელ პიროვნებას – ცნობილ წყალბურთელ სპორტსმენ ვოვა ბარნაბიშვილს დაუკავშირა. განსაკუთრებული სიყვარულით იცხოვრეს. მისი გარდაცვალება ლიამ ძალზე მტკივნეულად განიცადა. დღეს ოთხმოცს მიღწეული ქალბატონი თავის წარსული სილამაზით სულაც არ ტრაბახობს, თუმცა გული მაინც სწყდება. მან თავისი ცხოვრების გზა სულ ქათინაურებით განვლო და კინოეკრანს მაინც უნდა შემოენახა მისი ნიჭი და სილამაზე, დღეს რომ ლეგენდასავით იგონებენ თბილისელები. საყვედური ალბათ კინოსტუდიაზეც ითქმის, კიდევ ერთი კინოვარსკვლავი, რომ დაუკარგა ჩვენს ქვეყანას.

**დამანა მდივნიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მას სასწაულების

ახლახან, 50 წლის შემდეგ, ფართო საზოგადოების ყურადღება კვლავ მიიპყრო პრეპარატმა „კამელენმა“. შემთხვევითი არ იყო, რომ ბევრისმომცველი ორი გადაცემა დაუთმო „იმედის“ არხმა იმედდაკარგულთ, ხავსმოჭიდებულთ, სიცოცხლეს მოწყურებულთ. საუბრობდნენ ამ პრეპარატის წლობით მომხმარებელნი, ჩვეულებრივი ცხოვრების წესს დაბრუნებულნი – ახალგაზრდებიც და ასაკოვანნიც, მოხშირებულმა სიმსივნეებმა, პაციენტთა უსახსრობამ უამრავი ადამიანი მიიყვანა ამ საგვარეულო პრეპარატისათვის ცნობილი ექიმების მაღლაკელიძეების ოჯახის კარზე, რომლებიც ხელაღებით არც არაფერს ამტკიცებენ და არც განკურნების სრულ გარანტიებს იძლევიან, რადგან წამალიც და დაავადებაც ინდივიდუალურია. ჰომეოპათიური წამლების შემქმნელთ, ე. წ. ხალხური მედიცინის მსახურთ, უმეტესწილად სჩვევიათ გადამეტებული გარანტიები, რაც ამათთვის სრულიად მიუღებელია. პაციენტთა განცდების ამსახველია ის მოზრდილი წიგნი, რომელსაც ოჯახის თავქალი ელისო ქადაგიშვილი-მაღლაკელიძე სათუთად ინახავს საგულდაგულო შენიშვნებით; პროფესიით ექიმს, ოჯახის ერთადერთ რძალს, წილად ხვდა სცოდნოდა ამ წამლის დამზადების საიდუმლო; ვაკეში სახლობს მაღლაკელიძეების ძირითადი ოჯახი, ელისოს დედამთილი, ექიმი გუგული აბაშიძე, რომელიც ასევე, მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს ყველა გაჭირვებულს. პრეპარატი „კამელენი“ მისი მეუღლის ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძის შექმნილია, რომელმაც მის სიცოცხლეში, 50-იან წლებში გაიარა აპრობაცია ლენინგრადსა და მოსკოვში. ბატონი ბენედიქტე მაძიებელი სულის ადამიანი იყო, სულ რაღაცას ქმნიდა, აკვირდებოდა, მუსიკალური ნიჭითაც დაჯილდოებულს კონსერვატორიაშიც უსწავლია. კაცი – შემოქმედი, აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავისა და არჩილ ჩარგეიშვილის მარჯვენა ხელი, ცნობილი ქირურგი – ასე იცნობდა მედიკოსთა ფართო წრე.

... სრულიად ახალგაზრდა ბენედიქტე საგარეჯოში გაგზავნეს მთავარ ქირურგად. მაშინ ძნელად იშოვებოდა ანტიბიოტიკები, ღარიბთათვის კი ყოვლად მიუწვდომელი იყო. ერთხელაც, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ნაოპერაციებ პაციენტს ჭრილობა თაფლით დაუმუშავა, რადგან ბევრი რამ იცოდა მის სასწაულმოქმედ თვისებებზე, დააკვირდა, ჭრილობა ნაადრევად შეხორცდა, რამაც წამლის შექმნის იდეა უკარნახა, დაიწყო სხვადასხვა სახის თაფლის ტექნოლოგიური დამუშავება და მიიღო ანტიბაქტერიული პრეპარატი. იგი მაშინ გავრცელებულ ტუბერკულოზზეც გამოსცადა და შედეგიც სახარბიელო გამოდგა. ბატონ ბენედიქტეზე სისტემატურად წერდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“. მისი მიღწევებით ინტერესდებოდნენ ონკოლოგები, ფტიზიატრები, ოტოლარინგოლოგები. როგორც ყველა სიახლეს, პრეპარატსაც გაუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, მაგრამ უშედეგოდ. ფაქტი სახეზეა, წამალმა სასწაულები მოახდინა, წლებს გაუძლო... და შემთხვევითი არაა, ახლახან ატეხილი ბუმი. ვინაიდან მისი შემცველი მთავარი კომპონენტი თაფლია და ფუტკარიც მეტწილად კამელიის ყვავილს ეტანება, წამალს „კამელენი“ ეწოდა, ადრე კი – M 1 რქმევია. „კამელენი“ ოთხი სახეობისაა: წვეთები, ფხვნილი, სანთლები და საინექციო. ადრე მას ფარმაცევტულ ქარხანაში ამპულების სახით ამზადებდნენ, სისხლის გადასხმის ინსტიტუტში მასზე მუშაობდა თხუთმეტკაციანი ლაბორატორია, დაუდევრობით დაიკარგა სტამბაში დასაბეჭდად ჩაგზავნილი წამლის ვრცელი მონოგრაფია, ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ არავითარ შურისძიებას არ ჰქონია ადგილი, მხოლოდ ოჯახის თავკაცის მოულოდნელი გარდაცვალება იყო ამის მიზეზი.

**...და მაინც, რა დაავადებებს შველის პრეპარატი „კამელენი“?**

– ძირითადად სიმსივნურ წარმონაქმნებზე იხმარება, ავადმყოფები წლობით იხანგრძლივებენ სიცოცხლეს, განსაკუთრებით შედეგიანია, ლიმფოგრანელომატოზის, ხორხის, ფილტვების, მელანომანით დაავადებისას.

**– ქ-ნო ელისო, რამ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი თქვენს წამალზე, ამდენხანს რატომ სდუმდით?**

– ბუნებით ბაქია არ გახლავართ. ჩვენი ოჯახი ექიმების ოჯახია. მირჩევნია ვთქვა მაშინ, როცა ყველაფერი ოფიციალურადაა დადასტურებული, როცა ავადმყოფები თავად აღიარებენ, დაბეჯითებით იტყვიან თავიანთ ჯანმრთელობაზე, წამლის სიკეთეზე. მინდოდა პრეპარატს ოფიციალური სახე ჰქონოდა, ავადმყოფების მიღება არასოდეს შეგვიწყვეტია, უბრალოდ ხელი შეგვეშალა. ჯერ მამამთილი გარდაიცვალა, მერე ჩემი მეუღლე, 47 წლის ასაკში ნიაზიც, რომელიც საბურთალოს ასაკში რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე გახლდათ, მოგეხსენებათ, მაშინ როგორ იდევნებოდა კერძო პრაქტიკა, ტაბუდადებული იყო ხალხური მედიცინა, აგდებულად ექიმბაშებს გვეძახდნენ. მე და ჩემმა მეუღლემ სამედიცინო განათლება მოსკოვში მივიღეთ, ექიმობაც მზღუდავს, არ მინდა ზედმეტი ავიღო თავზე, მხოლოდ შუამავალი გახლავართ ბენედიქტე მაღლაკელიძესა და პაციენტს შორის, მეტსაც გეტყვით, არ ვეხები ავადმყოფს, არ ვსინჯავ, არ ვსვამ დიაგნოზს, ვეყრდნობი ონკოლოგიურ დასკვნებს, როცა საოპერაციოა, ვურჩევ გაიკეთოს, არც ქიმიოთერაპიას და დასხივებას გამოვრიცხავ, წამალს არავითარი გვერდითი მოვლენა არ გააჩნია, თავისას მაინც გააკეთებს, რომლის შემფასებელი ცოცხალი მოწმეები არიან: ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ რამიშვილი, თინათინ გოგოლაშვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხდენა შეუძლია



● ელისო შვილიშვილ ელენესთან ერთად

ქეთევან დუმბაძე...

პრეპარატს იყენებენ დიაბეტიკებიც. მალე მექნება დიდი მასალა, პაციენტთა ვრცელი ჩანაწერებით და მაშინ ქარხნული წესით დამზადდება „კამელენი“ (ამჟამად ოჯახის პირობებში, სტერილურად ამზადებენ), თბილისის ერთ-ერთ აფთიაქში კი პროვიზორი სანთლებსა და მალამოს ამზადებს სიმსივნური ღია ჭრილობებისთვის. მკურნალობის 21-დღიანი კურსი 2-5-მდე გრძელდება, გააჩნია შედეგს, პაციენტს შეუძლია შეწყვიტოს ხმარება ან ხანგრძლივად გააგრძელოს, „კამელენი“ აძლიერებს იმუნიტეტს, აქვეითებს ტკივილებს. ჩემს მულიშვილს პატარაობიდანვე ვაძლევდით წვეთებს, ახლა 28 წლისაა, ისეთი ძლიერი იმუნიტეტი გამოუმუშავდა, არცერთი ინფექციური დაავადება არ შეყრია. ჩვენთან უმეტესად ბოლო სტადიაში მყოფი, ნაოპერაციები პაციენტები მოდიან, გვქონია შემთხვევები, როცა წამლის მიღების შემდეგ ნარკოტიკებიც კი მოუხსნიათ, კურსის ხანგრძლივობაც შეუმცირებიათ.



● ელისო ქადაგიშვილი-მაღლაკელიძე

**თინათინ გოგოლაშვილი:** – თქვენ მეკითხებით, ვიცნობ თუ არა ამ პრეპარატს, ან მქონია თუ არა მასთან შეხება? ოცი წელია ვხმარობ და ამით მიდგას სული, თუ დღეს ცოცხალი ვარ და სავსებით შრომისუნარიანი, მისი წყალობაა. მოსკოვში თითქმის იმედი გადამიწურეს, ჩიყვის სასწრაფო ოპერაცია გამიკეთეს, ბიოფსიამ არცთუ სახარბიელო ანალიზი უჩვენა, მაღლაკელიძეების წამალი გაგონილი მქონდა, რძალიც და დედამთილიც იმდენად მოწყალე, გულისხმიერი ადამიანები არიან, ზოგჯერ უცნობ ადამიანს ვგზავნი, რომ წამლის მინიმალური ანაზღაურება მაინც აიღონ, რომელსაც ოც წელზე მეტია ჩვენი ოჯახის სხვა წევრებიც იღებენ.

...ჩემი დისშვილი მაღალი სიცხით, რამოდენიმე დღე უშედეგოდ იწვა ვახტანგ ბოჭორიშვილის ინფექციურ კლინიკაში, დიდმა მეცნიერმაც ვერ დაუსვა დიაგნოზი, ლამის დაღუპვის პირზე იყო მისული, ორმოც გრადუსზე დაბლა არ ჩამოდიოდა ტემპერატურა. როცა ექიმები გაიკრიფებოდნენ, ღამით, მალულად ვუკეთებდი „კამელენს“ ორი თუ სამი ინექციის მეტი არ დასჭირვებია, სავსებით გამომჯობინდა. მოგვიანებით, ისევ შეუძლოდ შეიქმნა, დაუნიშნეს ძლიერი, ჯანმრთელობისთვის არც თუ ისე სახარბიელო ჰორმონალური პრეპარატი „პარლოდელი“, ისევ თვითნებურად გამოვიყენეთ ნაცადი პრეპარატი და შედეგმაც არ დააყოვნა.

**ოთარ რამიშვილის მეუღლე, ქალბატონი გულნაზი:**

– ოცდარვა წლის წინ ოთარს ისეთი დიაგნოზი დაუსვეს, სიმღერაზე საბოლოოდ უნდა ეთქვა უარი – იოგაზე პოლიპი აღმოაჩნდა, ამოკვეთა რისკთან იყო დაკავშირებული, – ოთარი სიმღერის გარეშე, მისთვის ეს „განაჩენი“ სიკვდილის ტოლფასი იყო, ელისოს მეუღლემ ნიაზმა მოკრძალებით შესთავაზა მამაჩემის წამალი სცადეო. სამი კურსი დასჭირდა, პოლიპი უკვალოდ გაქრა. ქალი ვარ და პროფილაქტიკის მიზნით ერთი კურსი მეც ჩავიტარე, არნახული შედეგი მივიღე.

...ეს ბინა რამდენიმე წლის წინ შევიძინეთ. მისი პირველი პატრონი მძიმე ავადმყოფი დაგვხვდა, სისტემატურად გადასხმებს იტარებდა, ვურჩიე „კამელენი“ მიეღო, ახლა თავს შესანიშნავად გრძნობს. ჩემი პირადი და ახლობლების დაკვირვებით და გამოცდილებით ვისაც სხვადასხვა სახის სიმსივნური წარმონაქმნი აწუხებს, ვურჩევ მიიღოს სრულიად უვნებელი, იმუნიტეტის ასამაღლებელი „კამელენი“ – წამალი მარგებელი, სიცოცხლის ხანგრძლივობის სრული გარანტი.

* * *

**...თავად შევესწარი, როგორ უკოცნიდა 23 წლის გოგონას დედა ორი კურსის მიღების შემდეგ ხელებს ქალბატონ ელისოს, რომელსაც ხელები მუდამ თაფლისფრად აქვს შეფერილი, სითბოთია ავსილი მშვენიერი ოჯახის დიასახლისი, ჰყავს ღირსეული შვილი, რძალი, შვილიშვილი. ასაკს ვერ დაუდგენ, ისე მომხიბლავად გამოიყურება ჭეშმარიტი მკურნალი, რომლისთვის, ისე როგორც ბევრი მისნაირისთვის, ქველმოქმედება უცხო არასოდეს ყოფილა. გადარჩენილთა სიცოცხლე მატებს ენერგიას და ოპტიმიზმს.**

**ნანული ბუკია**



საქართველოს პარლამენტის

# „ამ ქვეყნად ყოველივეს თავად მივაღწიე...“


● თინა კანდელაკი

ჩვენს მკითხველს უთუოდ ემახსოვრება წლების წინ „მეორე არხის“ ერთ-ერთი სახელ წოდებული მშვენიერი თიკა კანდელაკი, რომელიც მოგვიანებით საცხოვრებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა და მის შესახებ ბევრი არაფერი გვსმენია კანტიკუნტი ჭორების გარდა: „თიკა რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ცოლი გახდა“, „ადგილობრივი შოუ-ბიზნესის წამყვანი სახე და მოსკოვური მოდის კანონმდებელია“-ო. დღეს თინა კანდელაკი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ არხ „СТС“-ზე გადაცემების „დეტალებისა“ და „ყველაზე ჭკვიანი ბავშვის“ წამყვანად მოგვევლინა, თავად ალაპარაკდა საკუთარ ცხოვრებაზე ჟურნალ „კარავან ისტორიისადმი“ (თებერვალი, 2004) მიცემულ ვრცელ ინტერვიუში, რომლის ფრაგმენტებსაც ქვემოთ გთავაზობთ...

-ყოველთვის ძალიან მომწონდა ტელევიზია, თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა საქართველოს ტელევიზიის „მეორე არხით“ ინტერაქტიული თამაში გადიოდა. ეთერში ტელეფონის ნომერს აცხადებდნენ, რომლითაც სტუდიაში დარეკვა შეიძლებოდა. კარგა ხნის მანძილზე ვრეკავდი და ვდუმდი, რადგან ჩემი ჩიქორთული ქართულისა მრცხვენოდა. ერთხელაც, როცა მეასედ მაინც ავკრიფე ნომერი, გავბედე და აკანკალებული ხმით ვითხოვე, წამყვანის რანგში სინჯებზე მოსვლა მინდა-მეთქი.

ბედნიერი შემთხვევისა თუ გარეგნობის წყალობით, მაშინვე მომაქციეს ყურადღება, თუმცა ზურგს უკან მესმოდა: „უმჯობესია, ხმას თუ არ ამოიღებს“-ო.

მამაც კატეგორიულ უარზე იყო: „რაში გჭირდება? ეს ხომ თავისმოჭრაა!“ (სამედიცინო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ვიყავი). მაგრამ ძალიან რომ არ დავეთრგუნე, დიპლომატიურად მოიქცა, ქართულის სწავლა მირჩია, „მერე კი ვნახოთ“-ო.

სამი თვის დაწყებული მქონდა ენის შესწავლა, როცა ძალების მოსინჯვის საშუალება მომეცა – არხის ყველა წამყვანი ბათუმის მუსიკალურ ფესტივალზე იმყოფებოდა. ეკრანზე პირველად იმ დღეს გამოვჩნდი, როცა საქართველოში გადატრიალება მოხდა. ის იყო ეთერში მულტფილმი გამოვაცხადე, რომ წასაკითხად დალუპულთა სია და „მხედრიონის“ კორპუსის დიდი განცხადება მომიტანეს. საშინელი სიტუაცია იყო.

**– მამა არ გაბრაზდა, ყველაფრის მიუხედავად მაინც ტელევიზიაში რომ დაიწყეთ მუშაობა?**

– მისთვის ეს საშინელი დარტყმა იყო. ყოველმხრივ ცდილობდა ჩემს დაცვას და ნაბიჯ-ნაბიჯ დამდევდა. ტელეცენტრში იმ ხანებში უამრავი მშვენიერი ჭაბუკი ირეოდა და ომიანობის მიუხედავად, ჰაერი პირდაპირ რომანტიკული სულით იყო გაჟღენთილი. მამა გამუდმებით მადევნებდა თვალს, მაკონტროლებდა – მოულოდნელად შემოაღებდა ხოლმე რედაქციის კარს, მისთვის მნიშვნელოვანი იყო სცოდნოდა, რას ვაკეთებდი იმ წუთებში.

„მეორე არხზე“ სამი წლის დაწყებული მქონდა მუშაობა, როცა ყოველწლიურ სატელევიზიო ფესტივალზე „წლის საუკეთესო წამყვანად“ წარმადგინეს. კონკურსი ღიად ტარდებოდა და წინასწარი მონაცემებით ლიდერთა სიაში ვირიცხებოდი, მაგრამ „TBC TV-studio“-ს ხელმძღვანელობამ უპირატესობა თავის პროტეჟეს მიანიჭა.

დეპრესიაში ჩავვარდი. ვიცოდი, რომ ტელევიზიაში ინტრიგები იხლართებოდა და ის იმარჯვებდა, ვისაც მფარველი ჰყავდა, მაგრამ რატომღაც მეგონა, ეს სიბინძურე მე არ შემეხებოდა.

**– თბილისიდან გამგზავრებამდე რადიოშიც მოასწარით მუშაობა...**

– რადიოში ტელევიზიაში მუშაობის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ მივედი, რადიოსადგურ „105“-ის ხელმძღვანელმა შალვა რამიშვილმა მიმიწვია. მისი წყალობით, პრესტიჟული ოჯახის ქალიშვილი (ბებია, მამის მხრიდან, ბაგრატიონებს ენათესავება, დედა კი სომეხ დიდვაჭარ ალახვერდოვთა ძველ შტოს განეკუთვნება) თბილისში ყველაზე სკანდალურ წამყვანად ვიქეცი, როცა ეთერში პირველად ავლაპარაკდი სექსზე (მანამდე მსგავს ფაქტს საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი). რადიომსმენელებს ღიად ვესაუბრებოდი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულსა და მარტოობაზე. რასაკვირველია, ბევრი ჩემს პირად გრძნობებზეც მეკითხებოდა.

**– თავად როდის გეწვიათ სიყვარული?**

– სწორედ იმ ხანებში. ჩემი რჩეული ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც იმ პერიოდის საქართველოს ისტორიას ქმნიდა და უშუალო მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოქმედებებში. პირადად ვიწვნიე, რას ნიშნავს ომის დროს სიყვარული, როცა დაჭრილ სატრფოსთან არ გიშვებენ, პირდაპირ მანქანაში გცხრილავენ.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჩვენი ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა და მეც მოსკოვში გამგზავრების გარდა აღარაფერი დამრჩენოდა. რუსეთის დედაქალაქში, პირველ რიგში, მეტყველების ტექნიკის პედაგოგს, სვეტლანა მაკაროვას დავუკავშირდი, რომელიც კატია ანდრეევასთან, საშა ბურატაევასა და სხვა ცნობილ დიქტორებთან მუშაობდა.

**– რუსულად კარგად ლაპარაკობთ, მაგრამ აქცენტი ალბათ მაინც გქონდათ...**

– რასაკვირველია, მაგრამ საკუთარი მიზანდასახულობისა და პედაგოგის წყალობით შედეგს მივაღწიე.

**– დიდი დრო დაგჭირდათ ამისათვის?**

– ერთი წელი. მაგრამ შემდგომში ისეთი კლასიკური განათლების მქონე მსახიობმაც კი, როგორიც სტას სადალსკია – იმ ხანე-



● თინა შვილებთან ერთად



● თინა მეუღლესთან და ვაჟთან ერთად

ბში უკვე ერთად ვმუშაობდით რადიოსადგურ „PDB“-ში – ვერ მომიძებნა ნაკლი.

**– ძნელი იყო სადალსკისთან საერთო ენის გამონახვა?**

– წინააღმდეგობებით აღსავსე თავისებური ადამიანია, ბავშვივით სენტიმენტალური და ზოგჯერ სასტიკიც, როგორც ყველა ბავშვი. ადამიანებს ორ კატეგორიად ჰყოფს. იუმორის გრძნობის მქონედ და არმქონედ. უცებ დავმეგობრდით და კარგა ხნის მანძილზე, რომ იტყვიან, უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით – ღამის ორ საათზე ვამთავრებდით მუშაობას და დილის ექვსზე სტასის ზარი მაღვიძებდა. ერთხელ, „PDB“-ში მუშაობის პერიოდში, ფრანსუა დემიე გვეწვია, რომელიც „ევროპა პლიუსის“ სათავეებთან იდგა და გადაცემის – „მარტოხელა გულების კლუბის“ დაარსება შემოგვთავაზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს ერთმანეთის გაცნობის საშუალება მიეცემოდათ. ძალიან საინტერესო იდეა გამოდგა. მე და სტასი მსმენელებს ამ პრობლემის მოგვარებაში ვეხმარებოდით.

**– ალბათ, თავადაც ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ...**

– საკმაოდ, ერთხელ ერთმა პიროვნებამ პირდაპირ ღია ეთერში დამირეკა და მითხრა, რომ ერთ-ერთ ავტოსალონში ჩემს სახელზე „BMW Z-3“ იდგა (მაშინ მოსკოვში ასეთი მანქანები თითზე ჩამოსათვლელი იყო). შემდგომში ეს ადამიანი ყუთებით მჩუქნიდა სუნამოებს, რომელსაც სადალსკის ვუგზავნიდი, ის კი მანდილოსნების გულს ინადირებდა. ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ქმართან ვცხოვრობდი, ყოველ დილას თეთრი ვარდების უზარმაზარ თაიგულს მიგზავნიდა.

„PDB“-თი მარტო „მარტოხელა გულების კლუბი“ კი არ მიმყავდა, სადალსკის მისი საავტორო გადაცემის – „მარტოხელა ოხუნჯის შოუს“ მომზადებაშიც ვეხმარებოდი.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ სტასის გარემოცვის სკანდალურობასა და „სიყვითლეზე“, მაგრამ იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ სადალსკის აუდიტორიაში ყოველთვის შეჰქონდა განათლების ელემენტები – მუსიკალურ ფონად ვერტინსკის სიმღერებს არჩევდა, ვკითხულობდით ნაწყვეტებს „საუკუნის საიდუმლოებებიდან“, „საუკუნის ადამიანებიდან“. სტასი ჰყვებოდა გარბოს, დიტრიხის, ცელიკოვსკაიას ცხოვრების შესახებ, რომელსაც პირადად იცნობდა. არაჩვეულებრივი მოთხრობები გამოსდიოდა, რადგან საგნების განსაკუთრებული, ჟურნალისტური ხედვა ჰქონდა.

**– თქვენს შოუში ხალხს ამახსარავებდით კიდეც...**

– დიახ – მსახიობებს, ოლიგარქებს, პოლიტიკოსებს და ეს ძალიან სასაცილო იყო! ერთხელ ღია ეთერში ვლადიმერ ვოლფოვიჩის პრეს-სამსახურში დავრეკე და დამტვრეული რუსულით, ვითომ ჰოლივუდიდან ვიყავი, ჟირინოვსკი მაიკლ ჯექსონის კლიპის გადაღებებზე მივიწვიე. რაღაც აბდაუბდა სცენარიც მოვჩმახე. თქვენ წარმოიდგინეთ, ანკესს წამოეგნენ და მზადყოფნის სურვილი გამოთქვეს! მსგავსი ფაქტები უამრავი ყოფილა...

ჩვენს შოუს არნახული რეიტინგი ჰქონდა. ახლა ბევრი ცდილობს ხალხის გამასხარავებას, მაგრამ ამაში განსაკუთრებული აღარაფერია, მაშინ კი ჩვენი მუშაობა წარმოუდგენლად ითვლებოდა.

**– დღეს თუ გაქვთ სადალსკისთან ურთიერთობა?**

– ისე ღრმად ვმეგობრობდით, რომ ამ ურთიერთობიდან უბრალო, ზომიერ მეგობრობაზე გადასვლა შეუძლებელი იყო. ვგრძნობდი, ოდესმე აუცილებლად დავშორდებოდით. გარკვეული როლი ამაში იმ ფაქტმაც ითამაშა, რომ გავთხოვდი და გოგონა – მელანია გავაჩინე. ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთთან უცნაურადაა დაკავშირებული. ჩემი მომავალი მეუღლე სწორედ სტასმა გამაცნო.

**– მშობლები თუ ადევნებდნენ თვალს თქვენს პირად ცხოვრებას?**

– დრო, როცა ოჯახში ვცხოვრობდი და თითოეული ნაბიჯის ანგარიშს დედ-მამას ვაბარებდი, ანდრეისთან შეხვედრამდე ჩაბარდა წარსულს.

ხანმოკლე სამოქალაქო ქორწინება მქონდა იმ ხანებში არსებულ არხ „ტელეექსპოს“ გენერალურ პროდიუსერთან, რომელიც ექვს თვეს გაგრძელდა. ვიქტორს ძალიან აღიზიანებდა ჩემი წარმატება. მან ხომ კარგი ქართველი გოგონა აირჩია ცოლად, ის კი თანდათან თინა კანდელაკად იქცა.

ანდრეი კონდრახინს იმიტომ გავყევი ცოლად, რომ ჩემს ნაცნობ მამაკაცთაგან ყველაზე ძლიერი იყო. ჩემი ქმრობით არ ვაქებ. მამაკაცი ძლიერი უნდა იყოს, რათა მთელი სიმართლე იცოდეს, არ იეჭვიანოს და არც კომპლექსებმა შეაწუხოს, თუ ცოლი მასზე მეტს გამოიმუშავებს. ანდრეი არ ეჭვიანობს, იცის, რომ გარს უამრავი მამაკაცი მახვევია, მაგრამ ჩემთვის მათთან მეგობრობაც საკმარისია.

**– როგორი დიასახლისი ბრძანდებით?**

– ცუდი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გავიზარდე, კვერცხის შეწვა-მოხარშვის გარდა არაფერი ვიცი. არც ცხოვრების მოწყობაში გამომიჩენია დიდი მარიფათი – საკუთარი ბუდე არასოდეს მქონია, ბოშასავით სულ ჩემოდნებზე ვიჯექი. ამიტომ ახლა, როცა ბინის შეძენის შანსი მოგვეცა, ანდრეის მოუწევს მკლავების დაკაპიწება.

**– ოდესმე თუ გიჩხუბიათ ქმართან?**

– ერთხელ, მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი, შევლაპარაკდით და სახლიდან წავედი. მაგრამ მალევე დავბრუნდი, მივხვდი, სწორად არ მოვიქეცი. სწორედ მაშინ შევპირდი ანდრეის, რომ არასოდეს ვიჩხუბებდით. თუკი, რასაკვირველია, არ მიღალატებდა. ღალატის პატიება არ შემიძლია. თუ მსგავსი რამ ოდესმე მაინც მოხდება, სამუდამოდ დავშორდებით ერთმანეთს.

**– ორი შვილის – მელანიასა და ლეონტის დედას თუ გრჩებათ დრო თავის მოსავლელად?**

– როცა ბავშვები იძინებენ, საწოლზე ვიკალათებ და სახეზე ნიღაბს ვიდებ. სწორედ ამიტომ შემარქვეს ოჯახში „მუმია“.

ზოგჯერ, ხდება ხოლმე, ნიღბით ვწევარ, ანდრეი კი იქვე მიდიმოდის და იქედნურად მეკითხება: „რაო, მუმია, თავს იახალგაზრდავებ? ალბათ კაცებს, შენ რომ გაღმერთებენ, ასეთად ვერ წარმოუდგენიხარ. ფარულად შენი ფოტო უნდა გავუგზავნო წარწერით: „და თქვენ ეს ქალი მოგწონთ?“ იმ მომენტში პასუხის გაცემა არ შემიძლია. ვწევარ და ვფიქრობ: „მაცადე, გიჩვენებ სეირს!“ მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ანდრეი მოდის და მეუბნება: „მუმია, გაღმერთებ!“ ჰოდა, მეც ყველაფერი მავიწყდება. ნუთუ შეიძლება გაბრაზდე მამაკაცზე, რომელსაც ასე უყვარხარ?..

**მოამზადა მანანა იმესაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩოხა

შემოდგომაზე ჩემმა მეგობარმა ,,აივნის რთველი“ მოაწყო თათარათი და შემოდგომის სხვა ნობათით. ეს შესანიშნავი მიზეზი აღმოჩნდა ლხინისთვის და მეგობრებიც შეგვკრიბა.

სუფრა ქართულად გაიშალა. ჩვენი ქვეყნის სურნელება მოეფინა იქაურობას. საბედნიეროდ ტელევიზორშიც ქართულ სიმღერას მღეროდნენ. ბაბუამისმა, კარგმა მოქართულემ და დარბაისელმა კაცმა ითავა თამადობა. – ,,ალა ფუშეტებით“ თავმობეზრებულს ძალიან გამიხარდა ჭეშმარიტად ქართული სუფრის წევრობა.

ნიკო ბაბუმ ქართული მიწა დალოცა, ზედ ლექსიც მიაყოლა, როცა წინაპართა სადღეგრძელოს სვამდა იქვე კედელზე დაკიდებულ სურათს ახედა. იქიდან შავჩოხიანი ვაჟკაცი ამაყად თავაწეული გვიმზერდა. მის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ ამაყ გამოხედვას ის ჩოხა აძლევდა, ასე ლამაზად რომ მოერგო ტანზე...

ჩემს მეგობრებს გადავხედე და ჰოი, საოცრებავ, სუყველას ჯინსი გვეცვა, თვით ჩემი ამხანაგის მშობლებსაც კი, და არ იყო ჩვენს შორის გამონაკლისი. ,,ჯინსების თაობა ჩოხიანი წინაპრის სურათის წინ“ – გავიფიქრე და რატომღაც გული დამწყდა...

მე ვიცი, თუ როგორ მოიკვლევდა მისი ,,უდიდებულესობა“ და ,,უუბრალოესობა“ ჯინსი გზას... როგორ უკრძალავდნენ მის ჩაცმას კომუნისტი მშობლები შვილებს – დასავლეთის მავნე ზეგავლენააო. თურმე იქ, საზღვარგარეთაც პირველი ,,ჯინსების თაობა“ აჯანყებულ შვილთა თაობა ყოფილა. გვერდზე მოისროლეს მდიდართა შვილებმა სმოკინგები და ფრაკები და დახეულ ჯინსებში გამოეწყვნენ – პანკობდნენ, ლაღობდნენ და ამით საყოველთაო თანასწორობის ილუზიას იქმნიდნენ... მართლაც იყო იმ დროს ,,ჯინები“ ,,ერთი ყლუპი“ თავისუფლების სიმბოლო. სწორედ ამ ,,ერთ ყლუპს“ დანატრებული ქართველი ახალგაზრდებიც ჯინსის ჩაცმით უჯანყდებოდნენ მამებს. ესეც ილუზია იყო, მაგრამ ტკბილი და სასურველი...

ქართველთა პირველი ,,ჯინსების თაობა“ – დახვრიტეს... მაშინ დახვრიტეს, როცა თავისუფლების ძიების ილუზიით შეპყრობილებმა აფრენა გადაწყვიტეს: – ,,ავფრინდები და ვაიმე,... ავფრინდი და...“ მერე დახვრიტეს მათი თანატოლებიც, მათსავით მოაზროვნეები – ზოგი ცხრა აპრილს, ზოგიც მანამდე, ან მერე...

ახლა ჯინსები ადვილად ხელმისაწვდომია, მან დაკარგა ,,ერთი ყლუპი თავისუფლების“ სიმბოლოს მნიშვნელობა... პირიქით, ახლა ის იმდენად საყოველთაოა, იმდენად გამთანაბრებელი და არაორიგინალური, რომ ასე მგონია შლის ინდივიდს, ისევე როგორც ნებისმიერი უნიფორმა. დიახ, ის მოხერხებულია. დიახ, ის გამძლეა, შედარებით იაფია და ა.შ. ის მოერია ყველა ტანსაცმელს... მაგრამ ღმერთმა არ ქნას მოერიოს – კიმონოს, სარს, ჩოხას...

რადგან თავის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი იაპონელი – უფრო იაპონელია, სარში გახვეული ინდოელი – უფრო ინდოელია, ჩოხიანი ქართველი კი უფრო ქართველია, უფრო ამაყი, უფრო შემართული...

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ქართველებმა, მით უფრო ახალგაზრდებმა ჩოხითა და ჩიხტიკოპით ვიაროთ, მაგრამ... ნეტა შეიძლებოდეს ჩვენს სპას, ეროვნული ტანსაცმელი ეცვას. იქნებ უფრო მეტად იგრძნონ და უკეთ დაიცვან მამული. ან რა მოხდება, რომ მეფე-პატარძალსაც ეროვნული ტანსაცმლით სთხოვონ ჯვრისწერა... ალბათ უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობდნენ, უფრო ქართულ, ტრადიციულ ოჯახს შექმნიდნენ... ან იქნებ ვცდები და ტანსაცმელს მნიშვნელობა არა აქვს. მაშ რამ აღაშფოთა პატარა ინგილო ქალი ერთი ბღუჯა ქლიავი რომ უთავაზა საფიცარი მეფის სპარსულ ქუდს. ან რად ამბობს ლელთ ღუნია:

– ,,ქართველის ტალავრის იერი სრულიად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების“-ო.

ილია მართალია პასუხობს:

– ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არისო?

მაგრამ იმის მიხედვით, თუ რას ათქმევინებს მოხევეს:

– ,,მართალ ხარნ. მაგრამ გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ-იო“. ვხვდებით, რომ ილია ლელთ ღუნიის პირით გაცილებით მეტ სიმართლეს ამბობდა, ვიდრე ეს ერთ უბირ მოხევეს შეეძლო. ან კი რად ტირის ერთ შესანიშნავ ლექსში ქალი:

,,და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,
რადგან მზითევში არ მომცემენ ვეფხისტყაოსანს“.

გრიგოლ ორბელიანს თურმე ერთგან სინანულით უთქვამს: – ,,მე ქართული ჩოხა-ახალუხი გამიხდია და სულერთი არ არის რას ჩავივამო?...“ თუკი სამშობლოს არ ემსახურები, მართლაც სულერთია ვისი მსახური ხარ... რას ჩაიცმევ და რას დაიბნევ.

ამ ფიქრებიდან ჩემი მეგობრების შეძახილმა გამომაფხიზლა. ყველანი ფეხზე იდგნენ და ერთხმად ამბობდნენ: – საქართველოს გა-უ-მა-რჯოს, გა-უ-მა-რჯოსო!!! ისეთი ანთებულები იყვნენ, ისეთი გულწრფელები და ის ჯინსებიც ისე უხდებოდათ, რომ ნეტარი ფიქრებიდან გამოფხიზლებულმა ერთი კი გავიფიქრე: – ,,ნეტა ხომ არ გავაფრინე მეთქი?“

**ნათია ჩხაბერიძე**



# ჩაი-მკურნალი

მას ყოველდღე მიირთმევენ თითქმის მთელ მსოფლიოში. ჩაი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი წყურვილსაც კლავს და ჯანმრთელობასაც ამაგრებს.

ძველ ჩინეთში ჩაის ,,სიცოცხლის ცეცხლს“ უწოდებდნენ, რომელიც სულსაც ამაგრებდა და სხეულსაც. მის ფოთლებში 300-ზე მეტი სხვადასხვა სასარგებლო ელემენტია, მათგან ყველაზე მთავარია კოფეინი, ტანინი, ეთეროვანი ზეთები და ვიტამინები, ამიტომ ჩაი ყოველდღე უნდა მიირთვათ; იგი სასმელთაგან ერთადერთია, რომელსაც საოცარი, ერთი შეხედვით ურთიერსაწინააღმდეგო თვისებებიც გააჩნია; იგი მატონიზირებელიც არის და დაღლილობის მომხსნელიც. ალაგზნებს კიდეც და ამშვიდებს, სიცივეში ათბობს, სიცხეში აგრილებს. ჩაი მაღლა წევს ჰემოგლობინს, ააქტიურებს ღვიძლის მუშაობას, ამდიდრებს სისხლს ვიტამინ C-თი. ჩაის ორგანიზმიდან გამოჰყავს შხამები, კონიუნქტივის დროს შველის თვალებსაც. მაგარი ჩაი საუკეთესო საშუალებაა მოწამვლისას. მწვანე ჩაის დამატებით ანტიმიკრობული თვისებები გააჩნია. მაგარი ჩაის საფენები ხსნის ტკივილებს მზით დამწვრობისას. უშაქრო ჩაი იცავს კბილებს კარიესისგან. შემთხვევითი არ არის, რომ ძველ ჩინურ ხელნაწერებში ჩაი მოიხსენიება როგორც ყველა ავადმყოფობის მომხსნელი. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჩაის მუდმივად მსმელები ჯანმრთელებიც არიან და ღრმა სიბერემდეც ცოცხლობენ. ამას ხელს უწყობს C, E, D ვიტამინები და იოდი. ჩაი ანელებს უჯრედების დაბერების პროცესს. მისი ფოთლები გაახალგაზრდავების ეფექტისაა, 18-ჯერ ამეტებს ვიტამინ E-ს ამ თვისებას. ლიმონით, შავი ან წითელი პილპილით და თაფლით შეზავებული თბილი ჩაი საუკეთესო შარდმდენი და ოფლმდენია გაციების დროს. მაგარი მწვანე ჩაის გაციებული ნაყენი, რომელშიც გარეულია მშრალი ღვინო (1 ჩ/კოვზი 1 ჭიქაზე) უებარია თვალების ამოსაბანად. მწვანე ჩაის გამხმარი ფოთლების დაღეჭვით ქრება გულისრევის შეგრძნება. რომელსაც მგზავრობისას განიცდიან. გაციებისას გამოიყენეთ შემდეგი რეცეპტი: 3 ჩ. კოვზი ჩაი, 1 ჩ/კ თაფლი. 1 ჩ/კ არაყი, ერთი ჭიქა წყალი. ყველაფერი აურიეთ, მიიყვანეთ ადუღებამდე და სვით პატარ-პატარა ყლუპებად.

ინგლისელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, ვინც დღეში 5-6 ჭიქა ჩაის სვამს, იღებს B6B1B2 ვიტამინების და კალიუმის დღიურ ნორმას.

# პატივით მოიხსენიებენ



ამბობენ, კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო იმას, ვისაც იხსენებენ, არამედ იმასაც, ვინც იხსენებსო.

გახსენების ღირსია მე-19 საუკუნის მრავალი ქველმოქმედი, მარტო დავით სარაჯიშვილის და ძმები ზუბალაშვილების დასახელება იკმარებდა, თუმც ბევრნი არიან შედარებით ნაკლები დამსახურების, მაგრამ თავიანთი ღვაწლით გამორჩეული ადამიანები. მათ შორისაა იმ დროისათვის ცნობილი პედაგოგი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თეატრალი, მთარგმნელი, მრავალი წიგნის ავტორი, გამომცემელი თუ რედაქტორი – ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე გარსევანიშვილი.

ალექსანდრე დაიბადა 1864 წელს გორში. დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. დამთავრების შემდეგ, 1883 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე; 1888 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და შემდეგ გამოემგზავრა სამშობლოსაკენ; დანიშნეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ალექსანდრემ, როგორც პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, დიდი წვლილი შეიტანა ქუთაისში გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ის მთელი ორი წელი უფასოდ ასწავლიდა რუსულ და ქართულ ენებს და ლიტერატურას მისსავე დაარსებულ „საკვირაო სკოლაში" სკოლის გარეშე დარჩენილ და სასკოლო ასაკგადაცილებულ ახალგაზრდებს. პირველი საკვირაო სკოლა 1891 წელს დაარსდა და მან მთელი 25 წელი იარსება. აქვე ასწავლიდნენ: დიმიტრი უზნაძე, მარიამ ყაუხჩიშვილი, ქრისტინე შარაშიძე, თამარ მაჭავარიანი, ელენე ხელთუფლიშვილი და სხვები.

ალექსანდრეს ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა „ქართული წიგნის გამომცემელი საზოგადოება", რომელმაც ბევრი შესანიშნავი წიგნი გამოსცა. რადგანაც მაშინდელ სკოლებში არ ისწავლებოდა ქართული სიტყვიერება და საქართველოს ისტორია, შეიქმნა ქალ-ვაჟთა წრე, რომელიც ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის საკითხებს იკვლევდა.

ალექსანდრეს ლექციებს წრეში მრავალრიცხოვანი მსმენელი ჰყავდა. იგი ეროვნულ-პატრიოტული იდეების პროპაგანდას ეწეოდა, ახალგაზრდობაში ნერგავდა ჰუმანიზმს, ჩვენი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის უსაზღვრო სიყვარულს. მართალია, თვითმპყრობელური რეჟიმი კრძალავდა ასეთი წრეების არსებობას, მაგრამ აქ არ შეწყვეტილა ლექციების კითხვა, რასაც ალექსანდრე კვირაობით ბინაზე ეწეოდა. ამისათვის პოლიციამ ალექსანდრეს „არაკეთილსაიმედო პირის" იარლიყი მიაკერა და ქუთაისის ციხეში გამოამწყვდია.

1899-1921 წლებში იგი ქუთაისში ექიმ მირაქოვის სახლში ცხოვრობდა. ამავე პერიოდში შემოიღო მუსიკის სწავლება და სანამ სპეციალისტს მიიყვანდნენ, თვითონვე იძლეოდა გაკვეთილებს გასამრჯელოს გარეშე. იგი შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე, მეგობრობდა ზაქარია ფალიაშვილთან, რომელიც აკომპანიმენტს უწევდა ფორტეპიანოზე და იმართებოდა საოჯახო კონცერტები. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ბულბულს – ვანო სარაჯიშვილს, მუსიკის პირველი გაკვეთილები ალექსანდრე გარსევანიშვილისაგან მიუღია; სწორედ მას უსწავლებია სანოტო ნიშნები.

1915 წელს ალექსანდრემ ქუთაისში ქართული ფილარმონიული საზოგადოების ჩამოაყალიბა. მისი თაოსნობით დაარსდა პირველი ქართული სახალხო თეატრი, ლადო მესხიშვილთან ერთად ახალგაზრდობას სასცენო ხელოვნებისადმი ინტერესი გაუღვივა.

ალ. გარსევანიშვილის კალამს ეკუთვნის ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული ეტიუდები, პედაგოგიური ხასიათის წერილები. აღსანიშნავია „XIX საუკუნის სკოლა ევროპასა და რუსეთში", „სახალხო სკოლა იაპონიაში", „სახალხო სკოლა და საგლეხო უნივერსიტეტის შვეცია-ნორვეგიაში", „საფაბრიკო სკოლა ფინეთში", „სწავლა-განათლება შვეიცარიაში", რომლებიც ზაფხულობით საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ დაიწერა. იგი ავტორია რამდენიმე წიგნისა: „უკრაინის მგოსანი – ტარას შევჩენკო" (1912წ.); „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია" (1918წ.); „გმირი ქალი მაია-მათე, ყაჩაღად წოდებული" (1915წ.). მან ქართველ მკითხველს გააცნო გამოჩენილი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის ცხოვრება და მოღვაწეობა.

1921 წელს ალექსანდრე სამუშაოდ მშობლიურ ქალაქ გორში გადმოვიდა. ასწავლიდა გორის პედტექნიკუმში და პირველ საშუალო სკოლაში, პარალელურად იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის განყოფილების თავმჯდომარე, წერდა პიესებს, აწყობდა ლექცია-საუბრებს ქართული მუსიკის, ლიტერატურისა და თეატრის ისტორიის საკითხებზე, იღვწოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

მან, მრავალმხრივი მოღვაწეობის გარდა, თავისი ხარჯით უმაღლესი განათლება მიაღებინა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ნიჭიერ მოსწავლეებს მრავალშვილიანი ოჯახებიდან. ვიქტორ დარისპანის ძე დონდუა სამკურნალოდ გააგზავნა საფრანგეთში, რომელიც 9 შვილიანი ოჯახიდან იყო; მის ძმებს – კარპეზს და ვარლამს უმაღლესი პეტერბურგში დაამთავრებინა. კარპეზი ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი გახდა, ვარლამი კი – ისტორიკოსი. უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი. კარპეზი და ვარლამი აღნიშნავდნენ, ბატონი ალექსანდრე სისტემატურად გვიგზავნიდა ფულს და ყოველთვის დროულად ვღებულობდითო. მის ამაგს ვერ ივიწყებდა ნიკოლოზ ჯაფარიძე – ქიმიკოსი, 23-ე საშ. სკოლის მასწავლებელი, რომელსაც შემდეგ შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ალექსანდრეს ნამოწაფრები იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, სერგო კლდიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, კარპეზ ბერიძე, შალვა თაბუკაშვილი, კონსტანტინე ერისთავი, დავით ლორთქიფანიძე, ტროფიმე ხუნდაძე, ბესარიონ ჟღენტი, კარპეზ, ვარლამ, დავით დონდუები, აკაკი ფაღავა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, პეტრე ქავთარაძე, დავით ცაგარეიშვილი (რონდელი) სოლომონ ხუციშვილი, ბაგრატ გოცირიძე, დათიკო მაჭარაშვილი, გიორგი სარაული, გიორგი თავზიშვილი, ისაკ ხანთაძე, ვერიკო ჩიკოიძე და სხვ.

ალექსანდრემ თავის სიცოცხლეშივე გადასცა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს საკუთარი სახლი, მდიდარი ბიბლიოთეკა და ავეჯი.

იგი 1936 წლის 17 მარტს ο2 წლის ასაკში მშობლიურ გორში გარდაიცვალა. განისვენებს გორის სამოქალაქო სასაფლაოზე.

**ელისაბედ გარსევანიშვილი,**
**ეკოლოგიურ მეცნიერებათა**
**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

# 2004 წელი დაბადება — დუჩჯი, ხის მაიმუნის დაბადების დღე

**პლანეტა ვენერას მფარველობის ქვეშ –**

დიახ, მიმდინარე წელს პლანეტა ვენერა მფარველობს. ჰოროსკოპში ყოველ რვა წელიწადში ერთხელ ვენერა ლიდერის პოზიციას იკავებს, რაც ცაზე მის მოძრაობის ციკლს ემთხვევა. ძლიერი ვენერის პატრონები 8, 16, 24, 32, წლისანი (და ა.შ.) ფიზიკურ განახლებას შეიგრძნობენ, რაც სულიერი აღმაფრენის განცდას, შემოქმედებით შთაგონებას ახალი ციკლის დასაწყისს შეიძლება უკავშირდებოდეს წარმატებები საქმეში, ახალი სიყვარული და ამ უდიადესი გრძნობის შედეგი – შვილები.

ასტროლოგიურად ვენერა კუროსა და სასწორის ნიშნებს მფარველობს. იგი თავის რჩეულებს მშვენიერებისკენ მისწრაფების სურვილს უღვივებს, შემოქმედებითი ნიჭით და სიყვარულის უნარით აჯილდოვებს.

ღმერთების სამყაროში ვენერა ხომ სიყვარულისა და მშვენიერების ქალღმერთია, დიდი ძალის პატრონი. სიყვარული ყველაფერს ცვლის. მას ემორჩილებიან დიდი მმართველები და რიგითი მოქალაქეები. ამ გრძნობას ძალუძს ჭკვიანი სულელად აქციოს და ისტორია შეცვალოს. ჭეშმარიტი სიყვარული ყოველთვის კეთილი საქმეებისკენ გვიბიძგებს და დიად გზებს გვიხსნის.

მსოფლიო პროცესებში 2004 წელს ქალის ზეგავლენა იმატებს. სუსტი სქესი იაქტიურებს სახელმწიფოს მართვაში, პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ასპარეზზე, სოციალური პრობლემების გადაჭრაში. შეიძლება ასეთი აქტიურობა დამანგრეველ ძალადაც გარდაიქმნეს, უფრო მეტად ეს გამოჩნდება გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ დეკადაში. ეს ძალაუფლებისთვის ღია ბრძოლის პერიოდია, რაც მოღვაწეობის ყველა სფეროს შეეხება – ყველაზე მეტად კი ახალგაზრდების აღზრდას, განათლებას, კანონებსა და ეკონომიკას. წლის განმავლობაში წინა პლანზე წამოიწევს დედა-შვილის პრობლემებიც.

ამ წელს შეგიძლიათ ეძიოთ სიყვარული, მაგრამ არა წყნარი ნავსაყუდარი. ქალის შემოქმედებითი ბუნება აფასებს ოჯახურ ტრადიციებს, საზოგადოებრივ ნორმებს, მორალს და სულიერ ფასეულობებს.

2003 წლის რევოლუციური სულისკვეთება მიმდინარე წელსაც დაგვეხმარება წინსვლაში. გარდაქმნები საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს. ამ დროს ხალხი თავის პირად და საზოგადოების მომავალს საფუძველს ჩაუყრის.

2004 წლის დაავადებები სასუნთქ გზებსა და კუჭ-ნაწლავის სისტემას შეეხება. აპრილში, მაისში, ივნისში, აგრეთვე სექტემბერ-ნოემბერში და დეკემბერში ინფექციური დაავადებები შემოგვიტევს.

წლის რჩევაა – შექმენით თქვენს ირგვლივ სილამაზე და ჰარმონია, გამოიჩინეთ მიმტევებლობის უნარი, გაეცით სიყვარული, რამეთუ ეს აკეთილშობილებს სამყაროს. მსოფლიო კონფლიქტებისა და ნგრევის გარეშე, ქალის, მეუღლის, დედის მზრუნველობით ვენერას ძალუძს ზიზღისა და ბოროტების ტალღის გაუვნებელყოფა. შეგიძლიათ თანამოაზრეებთან ერთად თქვენი სიყვარულის კუნძული დაიმკვიდროთ.

**მაიმუნი გვკარნახობს:**

წლის პატრონი გვიბიძგებს ცოდნის ამაღლებისკენ. რომც ფიქრობდეთ, ყველაფერი იცით და სოლიდურ ასაკში ბრძანდებით, ყოველთვის გამოიძებნება ცოდნის გაფართოვების არეალი! მაიმუნი ხუმარაა, მაგრამ მზადაა ყველა ოცნება აგისრულოთ. მაიმუნის წელი არასაიმედოა, ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციების სიუხვით გამოირჩევა. არასაიმედოა, ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციების სიუხვით გამოირჩევა. ამ დროს სამყარო იცვლება, მაიმუნი ძველ წყობას არღვევს და ახალს აყალიბებს. მაგრამ ჩვენ, ქალებმა ვიცით, რომ უცვლელ ფასეულობად რჩება სიყვარული და ბავშვები. დედობა ყველა დროს უცვლელი ფასეულობაა. მიუხედავად იმისა, რომ გარშემო ყველაფერი იცვლება, წელს იოლად გადაიჭრება ყველაზე რთული პრობლემები. ესაა ჭკვიანი, მოხერხებული და ორიგინალური ადამიანების წელი. არ არსებობს მოღვაწეობის სფერო, სადაც ვერ მიაღწევდით მწვერვალებს. მაგრამ ამ წელს ადამიანი იოლად ექცევა ალტერნატიული აზრის ზეგავლენის ქვეშ და მთავარ მიზანს სცილდება. თუ ჩანაფიქრის განხორციელებას გააჭიანურებთ, დაკარგავთ ინტერესს და წამოწყებას ნახევარ გზაზე მიატოვებთ. ეს უსიამოვნოა და შეიძლება ფინანსური დანაკარგი მოჰყვეს, შედეგად – დეპრესია.

**ჰოროსკოპის ნიშნებისთვის წელი ასე ჩაივლის:**

**ვერძი (21.03-20.04)**

ხალხთან გონივრული დისტანცია შეინარჩუნეთ. არ დაუახლოვდეთ კოლეგებს სამსახურში უფრო მეტად, ვიდრე საქმე მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიწევთ სხვისი ინტერესებით ცხოვრება. აპრილამდე თავი შეიკავეთ გაბედული ნაბიჯებისგან. საზღვარგარეთ მგზავრობა ახალი ძალებით აგავსებთ, შემოქმედებით იდეებს შეგმატებთ და თვალსაწიერს გაგიფართოვებთ.

**კურო (21.04-20.05)**

წარმატების ხანა დაგიდგათ. განსაკუთრებულად დაწინაურდება შემოქმედებითი ხალხი. ის იდეები, რომლებიც შარშან ვერ განახორციელეთ, წელს წარმატებას მოგიტანთ. შანსი გეძლევათ ახალი სიყვარული იპოვოთ. ივნისიდან მოთმინება გმართებთ, შეიძლება წინაღობას შეხვდეთ. მაშინ ძველი მეგობრები გაიხსენეთ. ისინი დაგეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში, ახალ პერსპექტივებს დაგანახვებენ.

**ტყუპები (21.05-21.06)**

ოჯახურ მყუდროებას შეიქმნით. თუმცა სამსახური კორექტივების შეტანას მოითხოვს. შეიძლება ქალის კონკურენცია, მაგრამ სიძნელეებს თავს გაართმევთ. თქვენგან არაორდინალურ გადაწყვეტილებებს ელიან. მარტის ბოლოსთვის როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად გაიმართებით წელში და მაღალ პროფესიონალიზმს უჩვენებთ.

**კირჩხიბი (22.06-22.07)**

თქვენს ღირებულებებს გადააფასებთ. გვერდით მხოლოდ ნამდვილი, დროით გამოცდილი მეგობრები შემოიკრიბეთ. მოგზაურობით მრავალ საინტერესო და ახალს შეიმეცნებთ. სამსახურში კონფლიქტებს ერიდეთ, გამოცდილი კოლეგების რჩევას ყური უგდეთ. სიყვარულის თბილი ატმოსფეროთი ისიამოვნებთ. მაისისთვის ძალები გაგიორმაგდებათ და წარმატებასაც მიაღწევთ.

**ლომი (23.07-23.08)**

დიდი წარმატება გელით. მატერიალური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ, მაგრამ არ გმართებთ ფულის უაზრო ფლანგვა. ამით მაიმუნს გაალიზიანებთ. ეს კი ნიშნავს, რომ ფორტუნა ზურგს გაქცევთ. არავის შეჰპირდეთ იმაზე მეტი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ. ოქტომბერში ახალ საქმეს წამოიწყებთ, ეს თვე მეგობრების თანადგომითაც გამოირჩევა. დასასვენებლად ივლისის მეორე ნახევარი შეარჩიეთ. მოერიდეთ ახალ ნაცნობობას, ძველი მეგობრები შემოიკრიბეთ.

**ქალწული (24.08-23.09)**

ამ წელს თქვენ თქვენი ბედის ბატონ-პატრონი ხდებით. სურვილებს იოლად აისრულებთ. შანსი გეძლევათ შარშანდელი ოცნებების ნაწილიც აისრულოთ. მათ, ვისაც თავისი მეორენახევარი კიდევ არ უპოვნიათ, სჭირდებათ საბედისწერო კავშირისათვის მზადება. შეიძლება საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. თუ კოლეგებთან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ, თქვენი სიმართლე დაიცავით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩხუბს არაფერი კარგი არ მოაქვს. წლის ბოლოს დაგეგმილი მგზავრობა სჯობს გადადოთ. საღამოებზე სიარული არ დაიზაროთ, სწორედ ასე შეხვდებით თქვენს გმირს.

**სასწორი (24.09-23.10)**

სავარაუდოა, რომ სურვილები დაგიპყრობთ. შეეცადეთ თავი არ დაკარგოთ. უმთავრესად სამსახურზე იყავით კონცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნტრირებული, სადაც წარმატების პერსპექტივა გაქვთ. საქმეები საუკეთესოდ განვითარდება ივლისიდან. ფინანსურად ეს წარმატებული წელი იქნება, დეკემბრისთვის კი სამსახურში დაწინაურდებით.

**მორიელი (24.10-22.11)**

ურთიერთწინააღმდეგობების წელი დაგიდგათ. შეეცადეთ არ აიღოთ ვალი. ზოგ საყვარელ ადამიანთან პრობლემები შეგექმნებათ. გამოიჩინეთ ტაქტი და მოთმინება, მაშინ უსიამოვნებებს თავს აარიდებთ. აპრილის ბოლო საშინაო პრობლემებისაგან განთავისუფლებთ, ხოლო თვის შუაში მოსალოდნელია დანაკარგები. არ დაკარგოთ თავი – შეიძლება ორი გატაცება ერთდროულად გეწვიოთ.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**

სამსახურში საქმეებს მშვენივრად ააწყობთ, ჩამოიცილებთ კონკურენტებს და მიზანს მიაღწევთ. პერსპექტივა პირად ცხოვრებაშიც გელოდებათ. მაგალითისთვის, მარტოხელა ქალები ამ წელს თავის ბედს შეხვდებიან, თუ გარემოცვას კარგად შეათვალიერებენ. გარეგნობით არ შეაფასოთ კაცები, და მთავარია, თამამად იმოქმედოთ, მაშინ ნამდვილად იგემებთ წარმატებას.

**თხის რქა (22.12-20.01)**

ძალიან წარმატებული წელია. თქვენზე მოთხოვნაა და ყველასათვის საინტერესო პიროვნება ხდებით. ისინი, ვინც რისკავენ და აბანდებენ ფულს, წელს დიდ მოგებას ნახავენ. პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია ცვლილებები, წყვილები უძრავ ქონებას შეიძენენ. თუ არასაიმედო კონტაქტია, დაშორების ალბათობა იზრდება. წლის მეორე ნახევარი უფრო წარმატებული იქნება. დაკავდებით იმ საქმით, რაც გასიამოვნებთ.

**მერწყული (21.01-19.02)**

შედარებით რთული წელია. შესაძლოა რომელიმე საქმიან პარტნიორს დაშორდეთ. თქვენს ირგვლივ დიდი ცვლილებებია, ეს ყოველდღიურობაზეც ახდენს ზეგავლენას. კარიერა და სამსახური სიამოვნებას არ განიჭებთ, ბევრი რამის გადაფასება გიწევთ. გაზაფხულზე საკუთარ თავს მიხედეთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ცვლილებები გელით. შესაძლოა დასრულდეს ერთი რომანი და დაიწყოს ახალი.

**თევზები (20.02-20-03)**

ელოდეთ ცვლილებებს. სიამოვნებები აგივლით გვერდს, თუ ამის მიზეზს აიცილებთ. ქმედებებში თანმიმდევრულობა გმართებთ და ერიდეთ ფულის უყაირათო ხარჯვას. პარტნიორებთან უთანხმოებაა მოსალოდნელი. საკუთარ ჯანმრთელობასაც უნდა მიაქციოთ ყურადღება და ექიმს მიმართოთ. თვითმკურნალობას ვარსკვლავები არ გირჩევენ.

**მოამზადა თამარ ნინიძემ**

# ექიმი გვირჩევს

## გრიპის პროფილაქტიკისათვის

ჯერ კიდევ ზამთარია. გრიპი ჩვენშიც გავრცელდა. განსაკუთრებით უჭირთ ბავშვებს და მოხუცებს, რადგან თან ახლავს გართულებები. მაგრამ შეიძლება მისი თავიდან აცილება, ანდა იოლად გადატანა.

პროფილაქტიკისათვის ძალზე ეფექტურია აცრა. მაგრამ მისი ჩატარება უმჯობესია ადრეულ შემოდგომაზე, სანამ ეპიდემია დაიწყება თუ მაინც ავად გახდი, წამლად გამოიყენეთ ანტიგრიპინი. იგი გაციების ან გრიპის პირველი ნიშნებისთანავე უნდა მიიღოთ. მაშინ თითქმის სულ მცირე დროში მოიპოვებთ მაქსიმალურ ეფექტს. უმჯობესია პრეპარატი დღეში 2-3-ჯერ, ჭამის შემდეგ დალიოთ.

ანტიგრიპინი ადვილად ხსნის ტკივილს, აგდებს სიცხეს, ებრძვის ანთებით პროცესს და ეხმარება ორგანიზმს ჩქარა გაუსწორდეს გაციებასაც და გრიპსაც ყოველგვარი გართულების გარეშე.

## როგორ დავიცვათ თავი ვირუსისგან

ვირუსის შეყრა ადვილია, განსაკუთრებით ცუდ ამინდში. ეს რომ არ მოხდეს, დაიცავით შემდეგი უბრალო წესები; ცხვირის ნესტოებში გამოისვით ოქსოლინის მალამო, შეგიძლიათ აგრეთვე ცალკეულ ნესტოში ჩაიწვეთოთ ახალგამოწურული ალოეს წვენი. ყოველდღე მიირთვით კეფირი ან იოგურტი, ორი ვაშლი ან ფორთოხალი, ძილის წინ რამდენიმე კბილი ნიორი ან ხახვის ფურცელი. ეს პროდუქტები შესანიშნავად ამაგრებს იმუნიტეტს. ასევე მოქმედებს კონტრასტული შხაპი, მაგრამ უნდა დაიწყოთ კომფორტული ტემპერატურის წყლით, რომ არ გაგიჩნდეთ დისკომფორტის გრძნობა. რაც შეიძლება ხშირად დაიბანეთ ხელები. გამოანგარიშებულია, რომ ყოველდღიურად 300-ჯერ მაინც ვეხებით ხელით ცხვირს, პირს, თვალებს. ინფექციის გავრცელების რისკი ხელისჩამორთმევითაც დიდია. თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობთ, ეცადეთ ცხვირ-პირი ყელსახვევით დაიცვათ.

სახლში დაბრუნებისას აუცილებლად გამოირეცხეთ ცხვირი ანადუღარი სოდიანი წყლით. (1 ჩ/კოვზი 1 ჭიქაზე). ასე აიცილებთ თავიდან ვირუსებს, ბაქტერიებს და არ გახდებით ავად.

## გული რომ არ შეგაწუხოთ

რეგულარულად მიირთვით თევზი. მისი ქონი აუმჯობესებს გულის მუშაობას. მაგალითად, ესკიმოსები ძალზე იშვიათად ავადდებიან გულით.

უარი თქვით მსუქან ხორცზე. ცხოველური ცხიმის ნაცვლად უმჯობესია მცენარეული ზეთის გამოყენება.

სასურველია ცხიმიანი რძე და რძის პროდუქტები (ნაყინი, ყველი, კარაქი, ნაღებიანი იაგურტი) შეცვალეთ მცირეცხიმიანი ან უცხიმო ანალოგებით.

მიიღეთ მეტი ხილი და ბოსტნეული, შეზღუდეთ პურ-ფუნთუშეული და ტკბილეული.

თუ ალკოჰოლს ვერ ელევით, უმჯობესია დალიოთ ცოტა არაყი ან კარგი მშრალი ღვინო.

ეს რეკომენდაციები ჯანმრთელ გულსაც შეგინარჩუნებთ და გარეგნობასაც გაგილამაზებთ.

გულმა რომ არ შეგაწუხოთ

არ დალიოთ, არ მოწიოთ;

არ მოიკლოთ ძილი;

იკვებეთ ნატურალური საჭმლით, ერიდეთ ზედმეტ ჭამას;

ნელა და კარგად დაღეჭეთ საჭმელი;

ივარჯიშეთ რეგულარულად;

ნუ ჩაებმევით ემოციურ დისკუსიებში, ერიდეთ უსიამოვნო ხალხს;

ერიდეთ მაგარ ჩაის, ყავას, ალკოჰოლს;

მიირთვით მჭლე ხორცი, ისიც კვირაში 2-3-ჯერ;

უარი თქვით მარილზე, შაქარი შეცვალეთ თაფლით;

იშიმშილეთ კვირაში 24 საათი.

# ყველაფერი საუზმისათვის

## სტაფილოს ხიზილალა

**მასალა:** 1 კილო სტაფილო, 500 გრამი ხახვი, 1 ჩაის ჭიქა ტომატ-პასტა, 1 ჩაის ჭიქა ზეთი (მზესუმზირის), 3-4 კბილი ნიორი, დაფნის 5 ფოთოლი, პილპილი, მარილი.

ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და ტომატ-პასტა მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ზეთი, ჩაყარეთ დაფნის ფოთოლი და დადგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე, ვიდრე ხახვი კარგად შერბილდება. იმავდროულად მსხვილ სახეხზე დახეხეთ სტაფილო (გულების გარეშე) და მოშუშეთ ცოტა ზეთში. სტფილო რომ კარგად მოიშუშოს, დაუმატეთ ერთი ღვინის ჭიქა წყალი, (მიაქციეთ ყურადღება არ მიიკრას ძირზე, არ დაგეწვათ), როცა ხახვიც და სტაფილოც მზად იქნება, შეურიეთ ერთმანეთს (კარგად დაზილეთ). მოათავსეთ დაბალ ქვაბში ან შესაფერის ტაფაზე, შედგით გახურებულ ღუმელში, დაუწიეთ სიმხურვალეს და გააჩერეთ 10 წუთი. შემდეგ შეაზავეთ შავი პილპილით, დანაყილი ნივრით და მარილით. გააცივეთ, მოათავსეთ მინის ქვაბში და შედგით მაცივარში. ინახება ერთი თვე.

## სტაფილოსა და ჭარხლის სალათი

გარეცხეთ ჯაგრისით 500 გრამი ჭარხალი და 500 გრამი სტაფილო. მოათავსეთ აირღუმელში და შეწვით (ისე, როგორც კარტოფილი „მუნდირში“). შეწვა, რომ დააჩქაროთ, ღუმელში დადგით პატარა ჭიქით წყალი ან დროდადრო ტაფაზე დაასხურეთ ხოლმე ღვინის ჭიქით. შემწვარი ჭარხალი და სტაფილო გაფცქვენით და გახეხეთ მსხვილ სახეხზე, შეაზავეთ დანაყული ერთი ჩაის ჭიქა ნიგვზით, 3-4 კბილი ნივრით, ქინძით და ძმრით, ან ზეთში მოშუშული (წვრილად დაჭრილი) ორი თავი ხახვით, ქინძით, ნივრით, წიწაკით და მარილით. შეგიძლიათ შეაზავოთ მხოლოდ მაიონეზით, არჩევანი თქვენზეა.

## ყველიანი კარტოფილი

**მასალა:** 1 კილო მოხარშული კარტოფილი, 250 გრამი ყველა, 50-60 გრამი კარაქი (ან ერბო), 1 ჭიქა არაჟანი, 4 ცალი კვერცხი, 2-3 სუფრის კოვზი ზეთი, ორცხობილას ფხვნილი.

ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ კარტოფილს შეურიეთ 200 გრამი დაფხვნილი ყველი, კარაქი (ან ერბო), ერთი ჭიქა არაჟანი, 3 კვერცხის გული და ძალიან კარგად აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ 3 კვერცხიდან მორჩენილი კარგად აქაფებული ცილა და ისევ აურიეთ. ტაფაზე დაასხით 3 სუფრის კოვზი ზეთი, მოაფრქვიეთ ორცხობილას ფხვნილი იმდენი, რომ ტაფის ძირი დაიფაროს, მოათავსეთ ზედ კარტოფილის მასა, გაათანაბრეთ ტაფაზე, ზემოდან გადაუსვით ერთი ათქვეფილი კვერცხი, მოაყარეთ 50 გრ. დაფშვნილი ყველი, შედგით გაზქურაში და შებრაწეთ.

## კარტოფილის „ვარენიკი“ ხინკალი

**მასალა:** 400 გ. ფქვილი 1 კვერცხი. ჭიქა რახევარი ცივი წყალი, 1 კგ. კარტოფილი. 200 გ. ხახვი. 1 კონა კამა, წავი პილპილი, ზეთი, მარილი.

**ცომის მომზადება:** ჭიქანახევარ წყალში ათქვიფეთ კვერცხი, უყავით ნახევარი ჩაის კოვზი მარილი და მოზილეთ ცომი, რომელიც უნდა იყოს მაგარი და არა ფაფუკი. თუ საჭიროა თანდათან შეაზელთ ფქვილს.

**საჩურთი (გული):** ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ მოხარშული კარტოფილი, შეურიეთ ძალიან წვრილად დაჭრილი და ცხიმში მოშუშული ხახვი, შავი პილპილი, და მარილი გემოვნებით, ძალიან წვრილად დაჭრილი კამა ღეროების გარეშე.

გააბრტყელეთ ცომი ძალიან თხელ ფენად, დაჭერით თხელი ჩაის ჭიქით ან სპეციალური საჭრელით. ცომის ყოველ ნაჭერს დაადეთ ერთი სავსე ჩაის კოვზი ფარში (საჩურთი). ცომს მოუკარით პირი და ოდნავ ჩაჩხვლიტეთ ჩანგლით; მოხარშვისას რომ არ გაიშალოს და გული წყალში არ ჩაცვივდეს. „ვარენიკი“ მოსახარშად ჩაყარეთ ქაფქაფა, ოდნავ მარილიან წყალში. 5-6 წუთის შემდეგ, როდესაც ცომი ზემოთ ამოტივტივდება, ამოიღეთ ქაფქირით, დააწყვეთ საწურავზე, გადაავლეთ ცხელი წყალი, დაწრიტეთ, გადაიტანეთ შესაფერის ჭურჭელში და მიირთვით არაჟანთან ერთად.

შენიშვნა: ცომი ერთბაშად არ ჩაყაროთ ქვაბში. თითოეული „ვარენიკი“ ლაღად უნდა იყოს და ერთმანეთზე არ ეყაროს.

„ვარენიკი“ შეგიძლიათ მოამზადოთ ხაჭოთი, ყველით და გაზაფხულზე კურკა გამოცლილი ალუბლით. ხაჭოს უნდა შეურიოთ შაქარი გემოვნებით და ერთი-ორი კვერცხი. ხოლო ყველის საჩურთს მხოლოდ კვერცხი. ალუბლის ვარენიკს ყოველ ცომზე 5-6 უკურკო ალუბალი რომელსაც მოაყრით ერთ ჩაის კოვზ შაქარს.

## ქაბაბი

პურის თითქმის ყველა მაღაზიაში იყიდება ლავაში, რომელიც სურვილს გვიჩენს მოვამზადოთ ქაბაბი, თუმცა ლავაშში გახვეული ყველიც გნებავთ თუშური, გნებავთ ქართული, სასიამოვნო საჭმელია, მაგრამ ქაბაბი უფრო ნოყიერი, გემრიელი და არც თუ ისე რთული მოსამზადებელია.

მასალა: ხორცი (გნებავთ ძროხის, გნებავთ ღორის) 500 გრამი, 1 ცალი კვერცხი, ხახვი 200 გრამი, პილპილი, კოწახური ან ბროწეული, მარილი, ორცხობილას ფხვნილი, ნებისმიერი ცხიმი შესაწვავად.

ხორცსაკეპ მანქანაში, ხახვთან ერთად, ორჯერ გაატარეთ ხორცი. შეაზავეთ პილპილით, მარილით, კოწახურით (ბროწეულით); შემდეგ შეურიეთ ათქვეფილი კვერცხი, კარგად აურიეთ და დაყავით თანაბარ ნაწილებად. მიეცით მოგრძო ფორმა, ამოგანგლეთ ორცხობილას ფხვნილში, დააწყვეთ ცხელ ტაფაზე და შეწვით. შემწვარი ქაბაბი სათითაოდ დააწყვეთ თანაბრალ დაჭრილ ლავაშზე, მოაყარეთ ნახევარ რგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ნარევი და გადაახვიეთ.



**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის**
**ტელეფონი:**
**99-98-71**

**ოთხ გვერდზე მეტ ნაბეჭდ მასალას ნუ შემოგვთავაზებთ**

## • დედების სკოლა •

# ძუძუთი კვების სიკეთე



უკვე აღარ დაობენ, რომ ერთ წლამდე ბავშვის აუცილებელი საკვები დედის რძეა. იგი თავად ბუნებისგანაა ნაბოძები, რათა პატარას საჭმლის მონელება, ნივთიერებათა ცვლა მოუწესრიგოს. დედის რძე ბიოლოგიურად აქტიურ და დამცველ ფაქტორებს შეიცავს, ადვილი მოსანელებელია, ვიდრე ნებისმიერი საკვები და მთლიანად შეითვისება ორგანიზმის მიერ. დადგინდა, რომ ძუძუთი კვება დადებითად მოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე, ამაღლებს იმუნურ სტატუსს.

დაფეხმძიმებამდე ქალი დედობისათვის უნდა მოემზადოს. სრულყოფილი ლაქტაციისათვის კარგად იკვებოს, დაიცვას შრომის და დასვენების რაციონალური რეჟიმი, ჰიგიენური ნორმები.

ორსულობის პერიოდში მომავალმა დედამ უნდა გაიაზროს ძუძუთი კვების როლი, შექმნას შესატყვისი ფსიქოლოგიური გარემო.

ახალგაზრდა დედის ლაქტაციაზე დადებითად მოქმედებს ბავშვისათვის ძუძუს ადრეული მიცემა. ამჟამად უმეტეს სამშობიაროებში ბავშვს დედის ძუძუს დაბადებიდან 30-60 წუთში აძლევენ, რა თქმა უნდა, მშობლის და ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით. ძუძუს ადრეული წოვება კარგია ახალშობილისთვისაც და მშობლისთვისაც, ჩქარდება რძის ხელახალი ჩადგომა.

იმ რძის პირველი ულუფა, რომელიც ფეხმძიმობისას უგროვდება ქალს და მშობიარობის მერეც ცოტა ხანს აქვს, მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რაც იცავს ბავშვს არასასურველი გარეშე ზემოქმედებისაგან, დაბადებისთანავე რომ იგრძნობა.

წლების განმავლობაში მიმდინარეობს დისკუსია ბავშვის თავისუფალი კვების თაობაზე. დიდი ხნის მანძილზე რეკომენდირებული იყო საათობრივი კვება სამი საათის ინტერვალით. ამჟამად დასტურდება, რომ კვება ბავშვის მოთხოვნით და ღამითაც კი, დადებითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობასა და დედის ფსიქოემოციურობაზე. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში დედებს 1,5-ჯერ მეტი რძე უდგებათ, ვიდრე რეჟიმის დაცვისას.

ჩვეულებრივ, ბავშვი თვითონ განსაზღვრავს ჭამის რაოდენობას და ხანგრძლივობას. თუ ის თავდაპირველად ძუძუს დღეღამეში 12-ჯერ მოითხოვს, პირველი თვის ბოლოს ეს მოთხოვნა, როგორც წესი, 7-8-ს არ აღემატება და ჭამის ხანგრძლივობაც კლებულობს. ღამის კვებასაც კი ბავშვი თანდათანობით თავად წყვეტს და თუ იგი გაჭიანურდება, ძალით ნუ დაანებებინებთ თავს. თავისუფალი კვების დროს დედასა და ჩვილს შორის მჭიდრო კონტაქტი მყარდება. რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის.

რძე რომ დიდხანს შეინარჩუნოს, ქალმა წესები უნდა დაიცვას: ახალშობილი პირველ დღეებში უკეთესია ერთი კვებისას ერთ ძუძუზე მიიწოვინოს, ხოლო მას შემდეგ, რაც დედას რძე „მოუვა“, შეუძლია ერთი კვებისას ორივე ძუძუ რიგრიგობით მისცეს, ისე, რომ პატარამ კვება იმ ძუძუთი დაასრულოს, რომლითაც დაიწყო. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დედის პოზას ბავშვის კვებისას. თუ დედა ზის, ბავშვი უნდა იმყოფებოდეს ვერტიკალურთან მიახლოებულ მდგომარეობაში. ეს საშუალებას იძლევა ავიცდინოთ ჰაერის კუჭში მოხვედრა.

შეიძლება აგრეთვე ბავშვის კვება გვერდზე წოლით მდგომარეობაში. ორივე შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს კვებისას ბავშვის სახესთან შეხებას. ეს ხელს უწყობს რძის მომატებას და აძლიერებს კავშირს დედასა და შვილს შორის, თანაც ბავშვი თავს უშიშრად და იმედიანად გრძნობს.

მეძუძურმა ქალმა უნდა შეიქმნას სულიერი კომფორტი, ისმინოს, წყნარი კლასიკური მუსიკა. რძის გამოწველა მისი მომატების შემთხვევაში შესაძლებელია მაშინ, როცა ბავშვი არ სარგებლობს თავისუფალი კვებით ან რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად წოვა. ამის თაობაზე სასურველია ექიმთან მოთათბირება. ამ შემთხვევაში უფრო ეფექტურია ხელით გამოწველა.

ლაქტაციის შემცირებისას აუცილებელია ექიმის რჩევა, დედის სრულფასოვანი და მრავალფეროვანი კვება და ვიტამინების კომპლექსის მიღება.

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა







ვარდების რევოლუცია – ახალი ერა საქართველოში

